ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲧᲝᲚᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ.

№ 19 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 28 1896 წ. № 19

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲐᲰᲘ ᲜᲐᲡᲠ-ᲔᲓᲘᲜᲘ გ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ.—ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲑᲘ ᲙᲕᲘᲛᲐᲢᲘᲡᲐ.—ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.—ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.—ᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲐ, ᲚᲔᲥᲡᲘ Ტ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡᲐ.—ᲨᲐᲕᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ გ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ.—ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ, ᲚᲔᲥᲡᲘ ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ —ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ, ᲫᲘᲡᲐ.—ᲑᲐᲨᲘ-ᲐᲩᲣᲙᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) ᲐᲒᲐᲙᲘᲡᲐ.—ᲡᲐᲮᲔᲣᲛᲐᲠᲝ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ.—ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐ.—ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ: ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲣᲢᲣ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡᲐ.—ᲮᲣᲨᲝ (ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ) Გ. ᲑᲐᲠᲜᲝᲕᲘᲡᲐ.—

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲙᲕᲒᲝᲜᲔᲑᲗ, ᲒᲘᲡᲣᲢ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲣᲢᲐᲜᲘᲗ, ᲓᲠᲝᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲗ.

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲐᲰᲘ ᲜᲐᲡᲠ-ᲔᲓᲘᲜᲘ.

ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘᲠᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ. ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲐᲰᲘ ᲜᲐᲡᲠ-ᲔᲓᲘᲜᲘ ᲛᲝᲰᲙᲚᲐ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲛᲐ. ᲯᲔᲠ ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲛᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲑᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲡᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲘ. ᲐᲛ ᲠᲯᲣᲚᲘᲡ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲠᲬᲐᲛᲗ ᲗᲕᲘᲗᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲤᲔ. ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲡ ᲙᲐᲪᲡ—ᲛᲔᲤᲔ ᲘᲧᲝᲡ ᲘᲒᲘ, ᲒᲘᲜᲓ ᲮᲔᲚᲝᲡᲐᲜᲘ,—ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲛᲝᲛᲛᲔ, ᲐᲜᲣ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲛᲝᲜᲝᲡ, ᲥᲕᲔᲨᲔᲔᲠᲓᲝᲛᲐᲗ, ᲐᲜᲣ ᲛᲝᲛᲛᲔᲗ ᲒᲐᲘᲮᲐᲓᲝᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲚᲘᲗ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲐᲗ ᲒᲐᲣᲜᲐᲬᲘᲚᲐ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲡᲝ. ᲣᲙᲔᲗᲣ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲛᲔ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲒᲘ ᲰᲮᲓᲔᲑᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲠᲘᲡᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲜᲔᲑᲐ

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ, ᲨᲐᲰᲘ ᲜᲐᲡᲠ-ᲔᲓᲘᲜᲘ.

ეძლეა მოსპოს იგი და ამით აღადგინოს ღვთის სამართალი. ამ სარწმუნოების აღმსარებელთ სასტიკათ დევნიდა სპარსეთის მმართებლობა, მაგრამ ბოლოს მაინც სპარსეთის მეუფე შეიქნა მისი მსხვერპლი. ჩვენის აზრით მარტო სარწმუნოებრივი მძულვარება არ უნდა იყოს ნასრ-ედინის მკვლელობის მიზეზი. აქ ჩვენ ეპოვებთ საიდუმლო კვანძს პოლიტიკური მოსაზრებისას. ეისთვის იყო სასარგებლო შაჰ ნასრ-ედინის სიკვდილი—ძნელი გამოსაცნობია, მხოლოთ ვიტყვით, რომ ნასრ-ედინს დიდი მეგობრობა ჰქონდა რუსეთის იმპერიასთან და ამ გარემოებამ სრულებით გააქარწყლა ინგლისის ზედ გავლენა სპარსეთის სახელმწიფოზე. ამის გამო ნასრ-ედინის სიკვდილს შეიძლება, მოჰყვეს მძიმე საპოლიტიკო ხლართი, თუ რომ მისმა მემკვიდრემ უმტყუნა შაჰის პოლიტიკას და სხვა მხრით მიმართა თავისი მისწრაფება. ყოველსავე ამას მალე გაგვიმარტებს ახლო მომავალი. სპარსეთის შაჰი ნასრ-ედინი დაიბადა 1830 წელს. ის იყო სამოცდა ექვსი წლის კაცი, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე და განათლების მოყვარული. პირველ იმან გატეხა აღმოსავლეთის მტარვალობის მედიდურობა, რომლის გამოც სპარსეთის მპყრობელს დამცირებათ მიაჩნდა უცხო ქვეყნების მიმოხილმა. ნასრ-ედინი გაემგზავრა ევროპის სახელმწიფოებში თავისი ამალით. შედეგი ამ მოგზაურობისა მალე დაეტყო შინაგან ცხოვრებას სპარსეთისას. იქ ნელ-ნელა შევიდა ევროპული წეს-წყობილება. გაიმართა რკინის გზები, ეაჭრობა აღორძინდა, ჯარი ევროპულ წესზე გამოაწყვეს და ჯავშნიანი გემებიც შეიძინეს.

შაჰი ნასრ-ედინი ნიჭიერი და გულ მოწყალე კაცი იყო. ფრანციულ ენაზე ლაპარაკობდა და თვითონაც მწერლობდა. მან შეადგინა სპარსულ-ფრანგული ლექსიკონი და აწერა თავისი მოგზაურობა ევროპაში 1873—1878 წლებში. იმას განსაკუთრებით უყვარდა სპარსული პოეზია და „შაჰ-ნამე“ თითქმის ზეპირათ იცოდა.—შაჰი ნასრ-ედინი ევროპისკენ გამგზავრების წინათ მობძანდა თბილისში და კავკასიის აქეთა მხარე დიდათ მოიწონა.

გ. წერეთელი.

კვირის სურათები.

Ბასწინათ იმერეთიდან მოვდიოდი. ხარაგაულს რომ გამოვცილდით, რკინის გზაც შეწყდა. მოლითამდის ოთხი ვერსტი მეტი მქონდა გასავლელი. ძლივს რათიც იქნა, მივაწიე ცოცხალმკვდარი მოლითის სტანციამდის. დაღალულ-დაქანცული შევედი ვაგონში, იქვე წავეგდე და ჩამეძინა. ვნახე სიზმარი გასაოცარი. ვითამ ერთ დიდ დარბაზში შევედი. ის იყო განათებული ელექტრონით, შიგ ფუსფუსებდა ხალხი, ძირს მოთავსებულიყო „დარბაისლობა“—ჩოხოსნები და ფრაკოსნები, ზევით—მანდილოსნები, უფრო ზევით—წვრილ-ფეხობა, მოსწავლენი და ნოქრები. ეისაც კი საზოგადო საქმებისთვის გული ტკივოდა, ან და მათზე უფიქრია რამე და ოდესმე, ყველა შეყრილიყო აქ და გულსმოდგინეთ ისმენდა ბაასს. ბაასობდენ მაღლა, საპატიო ადგილზე მსხდომნი „წინაკაცები“ და მათი მოპირდაპირენი და მომხრენი. ამ უკანასკნელთა შორის საზოგადო ყურადღებას იზიდავდა ერთი პატარა, ანჩხლი, ყორანსავით შავი ორატორი, რომელიც ხელების პრანჭვით და სახის უცნაური ღმეჭით ალაგებდა მაღალ-ფარდიან ფრაზებს.

—ბატონებო!—მჭევრმეტყველობდა იგი—სიმართლე, კანონიერება და სინიდისი,—აი, სამი ბურჯი, რომელზედაც დამყარებულია კაცობრიობა. „ჯოჯოხეთი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომელსაც სხვა მიზეზი არა აქვს, თუ არ ის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლხენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული,—ვამბობთ, ჯოჯოხეთი იქნებოდა, რომ ამ წეწვა-გლეჯის ბაზარში სხვე-ფენილ მადლსაც არ გაჰქონდეს თავისი პატიოსანი ნაამგარი, თავისი ნაშრომ-ნაღვაწი კაცთა სანუკვეშოთ და სასიქადულოთ. დიდბუნებოვანობა ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა მის მიერ გატანილ მადლის მეტ-ნაკლებობაშია. ეგ მეტ-ნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე ადამიანის, თუ მთელის ერის კაცურ-კაცობისა, მისის შინაგან სიმაგრისა, ქვაკუთხედი მისის აღმატებულებისა. მადლი არის კრებული იმ კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითეულ ადამიანისას, ისეც მთელის ერისას და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ცალკე სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა“...

—ჰერი ჰაა! მორთო რახა-რუხი—მოისმა ხმა—ეს სადღაც წამიკითხავს!..

—დიახ, წაგიკითხავთ და კიდეც გეტყვით სად: იქ, სადაც, ღაღადებენ ბაგენი, მდუმარენი და თუმცა თქვენ დაჯერებულნი ხართ, რომ ფარისეველობა ფარისეველობაა, მაგრამ მე მაინც განვაგრძობ:

—„ადამიანი და ნამეტნავათ ერი არა „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა. ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს—სულისათვის. თუ ან ერ-

თი დაშრა, ან მეორე—გვამი ერისა მკედარია, ეითარცა უსულოთ ხორცი და უხორცოდ სული, საქაოსათვის მაინცა. ამიტომაც ვინცა ჩიეის და ჭლაღადებს სახორციელო პურისათვის, ის იმდენათვე, თუ არ მეტათ უნდა იღეწოდეს სასულიერო პურისთვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურსა ჭამს, იმიტომ რომ კაცურ-კაცურათ იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი“...

—ჰმ! პურზე დაიწყო ლაპარაკი... ახლა კი მიაგნო თავის საგანს!.. მაგრამ ეს კაცური ცხოვრება რაზე დაჭირდა?—მოისმა კიდევ.

—„ვით მამა ზეცის იყავენ შენც სრული“,—აი, თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა“—არ იშლიდა მაინც თავისას ორატორი. „სიმართლე, კანონიერება, სვინიდისი“... ‚სვინიდისი, სიმართლე, კანონიერება“, ისმოდა წამ-და-უწუმ...

—რაიო? სიმართლეო? სვინიდისიო? საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი“!—იწერდა პირჯვარს იგივე ურწმუნო თომა...

—

უცებ გაქრა ეს სანახაობა. შემდეგ მეჩვენა მეორე სურათი. ენახე იგივე დარბაზი, ეკრეთვე განათებული ელექტრონით; იგივე დარბაისლობა დინჯათ ისხდა და უსმენდა „წინა-კაცებს“. ჩოხოსნები, მანდილოსნები სულგანაბული შეექცეოდენ უკანა გართობას...

—ოჰო, ეს კაი კვერნა დავიჭირეთ ამ დილას! —მოიწონა ერთმა.

—კვერნა კი არა, მთელი მელაა,—გაუსწორა მეორემ. რაო, რას ამბობდა გუშინ: ,,სიმართლე, კანონიერება, სვინიდისი—სამი ბურჯიაო“...

—მაგი კიდევ რა? ,დიდბუნეევანობაზე“ ბრძანებდა... ,,კლდეო“, ,,განძიო“, ,,ქვაკუთხედი“, ,,ციხეო“... რა ეიცი, რას მიედ-მოედებოდა?..

—,,არა პურითა ერთითა ცოცხალ არს ერიო“!.. სულიერი... სულიერზედაც იღეწოდეთო!..

—,,ვით მამა ზეცის იყავენ შენ სრულიო“! სინიდისი, კვლავ სინიდისი, და კიდევ სინიდისიო...

—

უცებ ეს სურათიც გაქრა, მაგრამ მესამეთაც იგივე დარბაზი ენახე სიზმარში. იგი კვლავაც განათებული იყო და კიდევ უწინდულათვე სავსე იყო ხალხით. ბაასობდენ, ჰსჯიდენ, ექომაგებოდენ, ეწინააღმდეგებოდენ ერთი მეორეს. ყველაზე მაღლა ყვიროდა იგივე პატარა, ცმუტურა, შავგერემანი ხოტოტი-შვილი. გუშინდელი არაფერი ეტყობოდა,—გეგონებოდათ, დავიწყებია ყოველისფერიო. პირიქით, უფრო რიხიანათ არახუნებდა სიტყვებს, უფრო შეუპოვრათ არიგებდა კრებას, თუ როგორ უნდა გაძღოლა საზოგადო საქმეს...

—,,სიმართლე“... ,,სინიდისი“... ,,მოვალეობა“...—წამ და-უწუმ გაისმოდა დარბაზში...

—რას ნიშნავს ეს?—გაოცებით დაეკითხე მეზობელს.

—ჰმ! რას ნიშნავს?—ნაღელიანათ მომიგო მან და, პასუხის მაგიერ, თავისთვის ჩაიბუტბუტა:

ჯერი მიდგა მელიაზე,
ტურაც ზედ-ნადებიაო,
დაგელოცოს სამართალი,
ღმერთო, რა ამბებიაო!

კვიმატი.



სხვა-და-სხვა ამბები.

ᲛᲐᲠᲨᲐᲜ 11 სეკტემბერს კრწანისის ველზე მომხდარ ამბაეს ჩვენ ხელოსნებზე დიდი გაელენა ჰქონებია: იმათ ახალ დაარსებულ ამხანაგობას კრწანისის ომის მოსაგონებლათ იმ დღეს, ე. ი. 11 სეკტემბერს, მიუწეეია კრწანისის ველზე ფოტოგრაფი და გადუღებინებიათ ორი სურათი, სურათებზე აკაკის ლექსებია მოყვანილი. ორივე სურათი ღირს ერთი მანათი. შემოსული ფულიდან მანეთზე ერთი აბაზი გადაიდება ირაკლის ფონდისთვის. იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ქართველ ხელოსნების განზრახვას. ეს სურათები იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში.

* * *

ჩვენ გეთხოვენ, გამოვაცხადოთ, რომ თბილისში დაარსდა სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი“. ამ ამხანაგობის დროებითმა გამგეობამ ამოირჩია აგენტებათ თბილისში: სიმონ ჭყონია, ა. თოიძე, არ. ორმოცაძე და სოსო კალელაშვილი, ხოლო განჯაში ბ-ნი დოლიძე და ბათუმში ივანე კაკაბაძე. ამ ამხანაგობის საქმე ჯერ-ჯერობით კარგათ მიდის და იმედია, მკვიდრ ნიადაგზე აღრე დადგება, რაშიაც ძლიერ საჭიროა ჩვენი შეგნებული და შეძლებული პირების დახმარება და საქმის რიგიანათ მოწყობა. ამასთანავე მოგვეიდა ამხანაგობის წესდება.

* * *

ლანჩხუთიდან (ოზურგ. მაზ.) გვწერენ: ამ თვის

21 დღისით კვირას ოზურგეთიდან გვესტუმრენ „ᲒᲣᲠᲘᲘᲡ საეკლო ამხანაგობის“ წარმომადგენელი კ. თავართქილაძე და დ. კალანდარაშვილი. დიდმა საზოგადოებამ შეიყარა თავი, რომელსაც ბბ. თავართქილაძემ და კალანდარიშვილმა აუხსნეს, თუ რა მიზანი აქვს ხსენებულ ამხანაგობას და თხოვეს მონაწილეობის მიღება: საზოგადოებამ დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა ამ საქმეს, 35 კაცზე მეტი იქვე ჩაეწერა ამხანაგობაში წევრებად; ამას გარდა აზნ. ჭორდანიებმა უფასოთ დაუთმეს ამხანაგობას საჭირო სახლების ასაგებათ ორი ქცევა ადგილი, ღირებული არა ნაკლებ 300 მანათისა. როგორც განგვიმარტა ბ. კალანდარაშვილმა, ამ წელს ამხანაგობა მხოლოთ აბრეშუმს მოკიდებს ხელს და ადგილობრივ ნაწარმოებს რიგიან ბაზარს მოუპოვებს, შემდეგ კი სხვა-წარმოების დარგსაც მიმართვენ.

საყურადღებო ამბები.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ კომიტეტის საყურადღებოთ.

ყველამ უწყის, რომ თფილისში არსებობს „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება“. კარგი იქნებოდა კომიტეტს ამ პირებისათვის გძელვადიან სესხათ ეძლია ერთი ხნობითი დახმარება სწავლის დამთავრებას შემდეგ იმდროამდის, ვიდრე მოიპოვებენ ცხოვრებისათვის საკმაო სახსარს, როცა ისინი შეიძლებენ სესხის უკან დაბრუნებას. რამდენათ ეს მოსახერხებელია, ამის გამორკვევა მიგვინდვია კომიტეტისათვის. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს კომიტეტის ყურადღება მიეაქციოთ სხვა უფრო საჭირო გარემოებას. დამხმარებელი საზოგადოება შემწეობის აღმოჩენის დროს უნდა ხელმძღვანელობდეს: ა) შემწეობა აღმოუჩინოს იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც რაიმე კეთილ იმედს იძლევიან და ბ) ვინც შედარებით სხვა ამხანაგებთან უფრო გაჭირვებული არის. საშუალ სასწავლებლების მოსწავლეების შესახებ ცნობები თითონ კომიტეტს შეუძლია, რომ შეკრიბოს. მაგრამ, რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, კომიტეტს საჭირო ცნობების შეკრება შეუძლია მხოლოთ თვით სტუდენტების დახმარებით. თავის ამხანაგის ნივთიერი მდგომარეობა ამხანაგებმა უფრო კარგათ იციან, ვინემ სხვებმა, ამიტომაც კომიტეტის მოვალეობას შეადგენს, რათა ის ამა თუ იმ პირის ნივთიერ მდგომარეობაზე შეეკითხოს მისივე ამხანაგებს. ეს ერთათ-ერთი საშუალებაა, რომ კომიტეტი დახმარების აღმოჩენაში შეცდომაში არ შევიდეს. აი, ამის მაგალითიც: დიდი ხანი როდია მას აქეთ, რაც ერთმა ჩვენთაგანმა მიიღო სტიპენდია—340 მანათი წლიურათ ხსენებული კომიტეტისაგან. ამხანაგებმა ეს რომ გაიგეს, ამ თვის 7-ს შეიკრიბენ მოსალაპარაკებლათ ახალ „სტიპენდიანტთან“; მიუთითეს მას იმაზე, რომ შედარებით სხვა ამხანაგებთან შენ კარგათ ცხოვრობო, გაახსენეს ყოველიივე რიგიანი ადამიანის ზნეობრივი ვალი და მერე თხოვეს, რათა სტიპენდია ნამდვილათ გაჭირვებულებისთვის დაეთმო; იმანაც 110 მანეთზე უარი განაცხადა, რადგანაც დარწმუნდა, რომ ამხანაგები სიმართლეს ამბობდენ. არ შეედიეარ იმის განხილვაში: მდიდარია ის, თუ ღარიბი, მე მხოლოთ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ იმან სტიპენდიის ერთ ნაწილზე უარი ჰყო და ამით დაგვიმტკიცა, რომ ის სხვებთან შედარებით უფრო მდიდარია. ამისთანა არა სასურველ შემთხვევების ასაცილებლათ, საჭიროა კომიტეტმა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას, ყურადღება მიაქციოს იმას, რათა ის ორიოდე გროში, რაც საზოგადოებას იმისთვის მიუნდვია, უფრო პირუთვნელათ იყოს დანაწილებული. ამას მოითხოვს სამართლიანობა.

სარეოვის სტუდენტი ᲗᲐ. ᲯᲘ—ძე.

* * *

სამიქაო. (ქუთაისის მაზრა) ჩვენში ზნეობა შეირყა.. მართლა და რას მიეწერება ჩვენ საზოგადოებაში სამიკიტნოების გამრავლება, მით უმეტეს, რომ დაბები და ქალაქიც ახლო მდებარენ. სულაც არ არი საჭირო (?), რომ ერთ პატარა სოფელში ორი და სამი სამიკიტნო და სხვა სავაჭრო დუქნები არსებობდენ. ხალხმაც შეიგნო, რომ ყოველი ამისთანა დაწესებულება მისი კეთილ ნაღვაწის შთამთქმელია, მისი ნივთიერი ღონისძიებისა და ზნე-ხასიათის გამთახსირებელია, და მოინდომა მისი მოსპობა; მთავრობამაც მიანიჭა საზოგადოებას უფლება, რომ, უკეთუ ის ნებას არ მიანიჭებს, ისე ვერავინ ივაჭრებს მაგრამ მის და მიუხედავათ კერძო პირები მაინც ახერხებენ საზოგადოების უფლების გადალახვას, მართვენ სამიკიტნოებს.

* * *

ს. ᲥᲝᲯᲝᲑᲐᲜᲨᲘ. (სამიქაოს საზოგადოებაა) მოხდა ერთი უსაზიზღრესი მკვლელობა ამ ცოტა ხანში. პირველ აპრილს საღამოზე ყანის მუშებმა იპოვეს

ღელეში მკვდარი ქოლობნის მცხოვრები, გლეხი ბ. მ—ძე. ეს კაცი იქმნებოდა 36 წლისა... მთელი თავისი სიცოცხლე მან გაატარა დღიურ მუშაობაში. მისთანა დღე არ იქნებოდა, რომ მაური მაინც არ ეშოვა; ის თხოულობდა დღიურათ უზალთუნიდან აბაზამდის. მეტს არ აიღებდა, კიდევაც რომ შეგეძლიათ: არც ტანისამოსისათვის და არც თავის საჭმელ-სასმელისთვის კაპეიკს არ ხარჯავდა. ამნაირათ შეაგროვა საბრალომ რამდენიმე ასი მანეთი. თავის ჯიბეში ფულს არას ოდეს არ იჭერდა და არც თავის სახელზე ასესხებდა... მამისაგან მიჩენილი ჰქონდა ადგილი და, ეს რამდენიმე წელიწადია, ცხოვრებდა იმასთან, ვისაც ებარა მთელი მისი ნაღვაწი ავლადიდება. ამ უკანასკნელ დროს გონზე მოსულა, და მის მზრუნველისათვის ანგარიში მოუთხოვია, მაგრამ ანგარიშის ნაცვლათ ცხადი უარი მიუღია და დიდი უკმაყოფილებაც მოსვლიათ, ასე, რომ დაუპირებია განშორებოდა მას და ისევ მოხუც მამას მიბრუნებოდა... მაგრამ ამას მოჰყვა მისი ღალატით მოკვლა... ნამდვილი მკვლელი ჯერ არა ჩანს, მაგრამ ადვილათ ვამოჩნდება, თუ საქმეს ჯეროვანათ გამოიძიებენ.

7-ს აპრილს მოვიდა ს. ქოლობანში ქუთაისის მაზრის ექიმი და ხონის გამომძიებლის, ბ-ნ მოსიძის თანადასწრებით აღმოაჩინა შემდეგი: მარჯვენა მხარე მთელის თავისა ყბიანათ უპოვა მკვდარს დამსხვრეული და მარცხენა მხარე დაბზარული; გარდა ამისა, კუჭში უპოვა მოუნელებელი საჭმელი და ორი სტაქანი ღვინო, რითაც დაამტკიცა, რომ ბესარიონი არის მოკლული ნაეახშმევს ორ საათს შემდეგ, როცა მას ძინებია, თავში ურუოს დაკვრით... მეორე დღეს ქოლობანს ეწვია ყაზახებით ხონის ქალაქის ბოქაული, პორფირე ვაშალომიძე, 10-ს აპრილს დილით ქოლობნის ეკლესიის მოედანზე გაისმა ბუკის კვრა სოფლის მოსაწოდებლათ. უცბათ სოფელიც შეიკრიბა. ბ-ნი ბოქაული ითხოვდა ხალხისაგან, აღენიშნათ ის პირები, რომელთაც ბრალს ადებენ ამ მკვლელობაში. სოფელმა დაადვა ხელი ორ ოჯახს, რომელთაგან ერთი ეკუთვნის თვით მოკლულის მამას, ხოლო მეორე ეკუთნის სამიქაოს საზოგადოების ნამამასახლისარს, ე. ი. იმ პირს, რომელსაც ებარა მთელი ბესარიონის ქონება და თვით ბესარიონიც!.. ამ უკანასკნელმა პირმა კიდევაც აღიარა წინაშე ბოქაულისა, (თუმცაღა წინათ სულ უარზე იდგა), რომ „იმ საღამოს, ე. ი. შაბათ საღამოს, ბესარიონი ყოფილა მის სახლში და სამხარიც უქმევიათ, ხოლო რა საჭმელი უქმევიათ ეს ვერ თქვა, რადგან ამტკიცებს, მე სახლში არ ვიყავიო! მერე სადღაც წასულა—და სად წავიდა, აღარ ვიცითო!.. ბოქაულმა დაატყვევა: ნამამასახლისარი და იმისი უფროსი ვაჟი, ბესარიონის ოთხმოცი წლის მოხუცი მამა და ორი იმისი გერი, რომელნიც წარუდგინა ხონის ნაწილის ბოქაულს. ხოლო უკანასკნელმა მეორე დღესვე განთავისუფლა ნამამასახლისარი, ალბათ.. მოხუცი მამა ბესარიონისა მაშინვე დაავათმყოფდა საპატიმროში და, ლამის არის, სული დალიოს; მაგრამ მისი მიმხედავი ვინ არი! ჯერ საქმე არ მისულა ბ-ნ გამომძიებლის მოსიძის ხელში; და, როცა მივა, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სიმართლის გამოსამჟღავნებლათ არას დაზოგავს.

მ. ლ.

ᲮᲠᲔᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲐᲖᲔ

გულ-ჯავრიანათ ვიყავი, აღარა მქონდა ქეიფი,
შეწუხებულმა გამოვთქვი ლექსი ცალმაგი, ქვეითი:
აღდგომის დღესა დაიქცა ეს უბედური ხრეითი,
ადგილ-მამული ძირს ჩაძერა, აღარ დარჩარა ზეითი.

—

ნათესაობა აღარ გვწამს, მირონი ჯ აღარც ფიცი.
ღმერთია გარისხებული, სხვა ცუდიც მოგველის, ვიცი.
ზნე-ჩვეულება წაგვიხდა, აღარ არის სიტყვა მტკიცი,
ქართველობა გადარჯულდა, აღარ უნდა ამას ფიცი.

—

თვალთ ძილი აღარ მკიდია, ღამე დავიწყე ბოდვაო,
ოდა-პალატი დამენგრა, ბეღელი დამიგორდაო.
ერთ წამში ყველა წამიხდა სულს გარდა რაც კი მქონდაო,
მიკვირს, თავი არ მოვიკალ, სიცოცხლე რათ მინდოდაო?

ᲡᲠᲔᲘᲗᲔᲚᲘ ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ.

ᲨᲐᲕᲘ-ᲥᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.



ამ დროს, როდესაც თბილისში ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ორ გუნდათ გამსკდარა და ერმანეთს ლამის ტვინი ამოჭამონ, ქუთაისს, ამ დასავლეთ საქართველოს სატახტო ქალაქში, მოხდა ფრიად შესანიშნავი კრება შავი-ქვის მრეწველთა. ამ კრებით აღინიშნა ახალი ხანა სამრეწველო მოძრაობისა. ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ ამ დიდ მრეწველობის საკეთილდღეო აღორძინებაში თანასწორი უფლებით იღებენ მონაწილეობას თვით ალაგობრივი მადნის მწარმოებელნი. აქ

ადგილი არა აქვს წოდებათა უპირატესობას. ამ კრებაში ძმური კავშირით შეერთებულან თავადი, აზნაური, მოქალაქე და გლეხი. ისინი შეუერთებია ეკონომიურ ინტერესებს ერთ განუყრელ ძმურ ჯგუფათ და პირისპირ უცხო ქვეყნის კაპიტალისა გამოსულან საბრძოლველათ. დასავლეთის საქართველოს მწარმოებელნი სამართლიანი მოსაზრებით წინ დადგომიან უცხო ქვეყნის კაპიტალისტების წარმომადგენლებს და ეუბნებიან: უკაცრავათ ნუ ვიქნებით და, რადგან ბუნების სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა ჩვენსავე წარმოებაში უნდა დარჩესო, კეთილ ინებეთ და თქვენ თქვენს ტყავში დაეტიეთო. ჩვენ დიდათ მოხარული ვართ, რომ კაპიტალი შემოგიტანიათ, ისარგებლეთ კიდეც, მაგრამ რადგან თვით მადნეულის სიმდიდრის მეპატრონენი ჩვენ ვართ, ამისთვის ჩვენ არ გვსურს—გულხელ-დაკრეფილი გიცქეროდეთ, რომ თქვენმა კაპიტალმა სიმდიდრისგან გაგვცალოს, გაგვაღარიბოს და ხელი აგვაღებინოს ჩვენი ქვეყნის წარმოებაზეო. ჩვენც გვინდა ვიშრომოთ და ჩვენი შესაფერი უფლება არ წაგვერთვას ჩვენი ქვეყნის სამრეწველო წარმოებაშიო. აქ პირისპირ შეხვდენ ერთმანეთ ექსპორტთა (უცხოეთში მადნის გამტანთა) წარმომადგენელნი და ალაგობრივი შავი ქვის მწარმოებელთა მეთაურნი, ესე იგი ქართველი მწარმოებლების მოთაეენი. ერთი მხრით უცხო ეაჭარი ბ. მანოლოპულო, ავგერინოს წარმომადგენელი, და მეორე მხრით ბ-ნი ჟდანოვიჩი, თ. პ. წულუკიძე, ნ. ღოღობერიძე და სხვები ჩვენები თურმე ერთმანეთს შეედავენ არსებით საკაში შესახებ ადგილობრივ მწარმოებელთა და უცხო ქვეყნის კაპიტალის წარმომადგენელთა უფლებისა.

ბ-ნი მანოლოპულო ამტკიცებდა, რომ ყოველ წელს ექსპორტის (შავი ქვის გამტანის) საზოგადოებისას თანასწორი უფლება უნდა ჰქონდესო თითოეულ მწარმოებელთან ერთათო.

ჟდანოვიჩმა ჩინმულათ გაარკვია ეს საგანი იმ მხრით, რომ შემთხვევით საქონლის მყიდველს ბ. უცხო ქვეყანაში გამტანს ის უფლება არ უნდა მიენიჭოს, რაც მადნის პატრონს და მის მომუშავეს ეკუთვნისო. მთელი კრება სამართლიანათ დაემოწმა ასეთ განმარტებას, მაგრამ ეს ამბავი უცხო ქვეყნის კაპიტალისტების წარმომადგენლებს არაფრათ იამათ, გაწყრენ და დაადგეს კრების დარბაზი. კარგი იქნებოდა, რომ ადგილობრივ მწარმოებლებს მიეძახებიათ: უკაცრავათ, თავი ვერ გაცარცვინეთო.

კარგი წინადადებანი შეუტანიათ ბ. ნ. ღოღობერიძეს შესახებ ცნობების შეკრებისა შავი ქვის ყიდვა-გაყიდვაზე ევროპის სახელმწიფოებში, თუ იქ რა მოთხოვნილებაა, ფასები, ან როგორი ეაჭრული გარემოებანი არსებობენ შავი ქვისა, რომ საქართველოს მწარმოებლები განთავისუფლდენ შუამავალ კომისონერების კლანჭებისაგან, როგორც არიან აეგერინო, სოლელაკი, პანასე, გროტე და სხვები, მათნი მგზავრნი. გ. ჟდანოვიჩს აღუძრავს კითხვა სამთო შკოლის დაარსებაზე ქუთაისის ღუბერნიაში. მოსაწონი აზრია. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო მოხსენება წარუდგენია თ. პ. წულუკიძეს, თუ რა დაბრკოლებაშია შავი ქვის წარმოება და შავი ქვის მწარმოებლები რკინის გზის გამგეობისაგან და იმის უზომო მოთხოვნილებისაგან. ყოველ ნაბიჯზე რკინის გზის გამგეობა ცარცავს შავი ქვის მწარმოებელთ: თუ გადატანის ფასებს უდიდებს, აწონაშიაც ახდევინებს მეტ ფულს. წონას დაკლდება, მაინც მწარმოებელმა უნდა ზღოს, გადაემეტება—მაინც, ერთი სიტყვით ქათმის არ იყოს: „ძროხა დაკლეს, თან წამაკლესო, ცხვარი დაკლეს, თან წამაკლესო", სწორეთ ამ რიგათ ექცევა რკინის გზის გამგეობა საწყალ შავი ქვის მწარმოებლებს. შავიქვის მწარმოებელთაგან რომ რკინის გზას შემოსავალი აქვს, არც ერთ გადმოსატან საქონლიდან იმდენი შემოსავალი რკინის გზას არა აქვს; მაგრამ მაინც ყველაზე უსამართლოთ ექცევა შავიქვის მწარმოებლებს კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის გამგეობა ამასთანავე არ უმართავს იმათ დასაწყობებს, პლატფორმებს და არ უკეთებს სასწორებს. თ. პ. წულუკიძის მოხსენებას დიდი შთაბეჭდილება გამოუწვევია სხდომაზე. შავიქვის მწარმოებელთა კრებას სხვათა შორის ორი დიდი გადაწყვეტილება დაუდგენია: თხოვნა უმაღლეს მთავრობასთან ფოთის ნავსაყუდელი გაადიდონ, იმისი აშენება დაამთავრონ და რკინის გზა გაიყვანონ პირდაპირ ქუთაისში. ვინუგეშოთ იმითი, რომ ყოველსავე სამართლიანს შავიქვის მწარმოებელთა მოთხოვნილებას უმაღლესი მთავრობა საჩქაროთ შეიწყნარებს და დაკმაყოფილებს.

გ. წერეთელი.

გვირგვინი.

(ვუძღვნი ცოცხლებს).

ვნახე გვირგვინი სუფსოვო, ტურფათ შემკული,
ზე ჯვარი ეჯდა და შუაში ეკვიდის გული.
სოფლისგზე იდგა უსულოის სადიდებელათ,
სითნოების და სიყვარულის იყო ემბლემათ.
ტოტსლებს მკვდრისთვის მიეტანნათ იგი ჭიდდოთ,

თითქოს ᲭᲘᲡᲢᲘᲡᲬᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲗᲐ ᲓᲠᲝᲗᲐ!
ᲑᲔᲜᲘᲠᲜᲘ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲔᲜ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲛ ᲛᲘᲪᲔᲕᲚᲔᲑᲣᲚᲡ!
ᲛᲐᲡ ᲔᲕᲐᲜᲒᲔᲚᲘᲡᲐ ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲗ ᲓᲕᲐᲠᲓᲚᲘ ᲔᲓᲒᲐ ᲒᲣᲚᲡ.
ᲛᲐᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲬᲘᲜ ᲣᲛᲝᲓᲝᲓ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲒᲛᲝᲑᲐ
ᲓᲐ ᲛᲝᲚᲗᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲢᲠᲓᲑᲐ.

—

ᲐᲓᲐᲛᲘᲡ ᲫᲔᲜᲝ, ᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲣᲚᲡᲐᲠᲗ ᲞᲘᲠᲛᲝᲗᲜᲔᲝᲑᲐᲡ,
ᲗᲕᲘᲗ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲡᲐᲪ ᲙᲘᲐᲡ ᲪᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲣᲛᲓᲕᲜᲘᲗ ᲥᲔᲑᲐᲡ!

ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

დროებითი ურთიერთობა

(Временныя отношенія)

ᲛᲘ სათაურით გაზ. „Недѣля“-ში (1896 წ. № 11) იყო დაბეჭდილი ერთი წერილი თავად აბხაზისა. წერილის ავტორი ჩვენის, თუ რანაირი ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს საქმის წარმოება რუსეთის დაშორებულ მხარეებში, როგორიც არის, მაგ., ჩვენი საქართველო. სხვა-და-სხვა კანცელარიებში საქმის დაუბოლოებლობას და გაზვიადებას საზღვარი არა აქვსო და ამ მხრით არავითარი შედარება არ შეიძლება ჩვენი ქვეყნისა მკვიდრ რუსეთთანო. ამის დასამტკიცებლათ თავ. აბხაზს მოყვანილ მაგალითები საგლეხო დაწესებულებათა ისტორიიდან. დავუთმოთ სიტყვა თვით ავტორს.

„1864 წ. თფილისის გუბერნიის გლეხებს გამოეცხადათ განთავისუფლება ბატონ-ყმურ მდგომარეობიდან და მაშინვე შეუდგენ იმ წესდების შედგენას, რომელსაც სისწორით უნდა განესაზღვრა ახალი დროებითი ურთიერთობა წინანდელ ყმებსა და მებატონეთა შორის. ამ წესდების ძალით განთავისუფლებულ იქმნა 58,000 გლეხი თფილისის გუბერნიაში (მ-მო-ბრიევი სქესისა) მებატონეთაგან, რიცხვით 2,700 სული. საურთიერთო საქმეები უნდა მოეწყო ახლათ დაწესებულ მომრიგებელ შუამავალთა (мировые посредники) და გუბერნიის საგლეხო საქმეების გამგეობას, რომელთაც კანონმა, სხვათა შორის, დაავალა: რაც შეიძლება ჩქარა მოეღოთ ბოლო ამ დროებითი დამოკიდებულებისთვის იმ საშუალებათა მეოხებით, რომლებიც თვით მართველობამ დაადგინა. ახლა, როგორც ჩანს 31 წლის განმავლობაში 14,300 დროებით-ვალდებულ კვამლიდან მოხელეებს განუთავისუფლებიათ მხოლოთ 3,000 კვამლი. 1864 წლიდან დღემდის შეუდგენიათ და დაუმტკიცებიათ 550 გამოყიდვის (თავის დახსნის) ხელ-შეკრულობა (выкупные договоры), რომლისათვის მართებლობას უსესხებია 800,000 მან. საჭიროა, რომ შედეგს და დამტკიცდეს კიდევ 3,400 ხელშეკრულება, თუ ამასთანავე განველილ 31 წლებში მამულებთა რიცხვი არ გადიდდა ოჯახების დაყოფის გამო. თუ მივიღებთ, რომ ეს რიცხვი არ გადიდებულა ᲓᲔ თუ მოხელეები იმავე ძალას და შრომას გამოიჩენენ, რაც აქამდის გამოიჩინეს, იმ შემთხვევაში ყველა ხელ-შეკრულებათა შედგენას მოუნდება კიდევ 161 წელიწადი. ამნაირათ მხოლოთ 2056 წელს (თითქმის ბელამის ცნობილ „ას წელს შემდეგ“) გვეღირსება გლეხების გამოყიდვა ადგილ-მამულით. აი, ნამდვილი ნიმუში მართლაცდა ხანგრძლივი დროებითი დამოკიდებულებისა. განა ასეთი სიზანტე პატივდებაში უნდა იყოს მიღებული, იქ სადაც მართებლობის დახმარებით ფულები მზათ არის ᲓᲔ საჭიროა მხოლოთ გულწრფელი მედგარი მოქმედება? აქ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა დაუჯდა ხაზინას ამ 31 წლებში მომრიგებელ შუამავალთა ᲓᲔ გუბერნიის საგლეხო საქმეების გამგეობის წევრების შენახვა. გუბერნიაში ითვლება 9 მომრ. შუამავალი. თითოეული იმათგანი ღებულობს წლიურათ 2,000 მ., ყველანი—18,000, 31 წლის განმავლობაში 558,000 მ. საგლეხო პრისუსტვიის წევრები არის 4; თითოეულს წლიურათ ეძლევა 2,400 მ., ყველას-9,600 ხოლო 31 წლის განმავლობაში მიუღიათ 297,000 მ. კანცელარისთვის ამავე 31 წლის განმავლობაში დახარჯულა 105,000 მ. ამნაირათ ხაზინას სულ ამ დროს განმავლობაში დაუხარჯავს 960,000 მ., და თავის დახსნის ხელშეკრულება კი შეუდგენიათ მხოლოთ 800,000 მანეთის... ამის დაგვარათ, დანარჩენი მამულების გამოსახსნელათ საჭირო იქნება, რომ ხაზინამ დახარჯოს მარტო შუამავალებზე და წევრებზე 3,140,000 მ..

ამნაირ მდგომარეობაშია დღეს გლეხების საქმე თფილისის გუბერნიაში; და თუ შემდეგშიაც საქმეს ამნაირი მსვლელობა დაურჩა, იმ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია, ქართლ-კახეთის გლეხებმა რამდენიმე საუკუნის განმავლობაშიაც ვერ დაიხსნან თავი იმ დროებითი დამოკიდებულებიდან, რომელზედაც ზვეით გვქონდა ლაპარაკი. სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს ამ მხრივ იმერეთი, სადაც მართებლობის დაუხმარებლათ, თვით თ. აბხაზის სიტყვითვე, გლეხებს სანახევროთ გამოუყიდიათ მამულები 5.000,000 მ. რას მიეწერება ეს სულ სხვა-ნაირი მიმდინარეობა საგლეხო საქმისა იმერეთში? თ. აბხაზი ამის მიზეზს ხედავს მხოლოთ თფილისის გუბერნიის მოხელეთა დაუდევრობაში. ჩვენთვის, რასაკვირველია, საგლეხო დაწესებულებათა მოხელეების დაუდევრობა და უპატიური მოქმედება, ბიუროკრატიულ

რუტინასთან შეერთებული, ახალი ამბავი არ არის, რასაც თვით წესდებაც ხელს უწყობს. მაგრამ, მარტო ამას არ მიეწერება საგლეხო საქმის შეფერხება საზოგადოთ, და თფილისის გუბერნიაში კერძოთ. ამიტომ არ შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში შემდეგი გარემოებანი, როგორც ამ საქმის დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლებიც გაზ. „ახალ მიმოხილვამ“ (იხ. № 4204) დაასახელა თ. აბხაზის ხსენე-

ᲝᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ.

ბულ წერილის გამო: 1) გამოყიდვა შესაძლებელია მხოლოთ მებატონეს ნებართვით, რომელიც ყოველთვის დიდ ფას თხოულობს; 2) გლეხს შეუძლია მიცეს მხოლოთ ის ფასი, რასაც მას ხაზინა ასესხებს; ეს სესხი კი არ აღემატება 60 მანეთს დესეტინაში, და ვენახებში სრულებით არ აძლევს სესხს ხაზინა; 3) გამოყიდვა ჯდება ძლიერ ძვირათ. თვით თ. აბხაზს 4,000 მანეთიანი მამულის გაყიდვა დაჯდომია 900 მ.; 4) უმაღლესი მთავრობა დღემდის ცოტა ყურადღებას აქცევდა საგლეხო საქმეს, რადგანაც დღემდის ის სხვა საქმეებში იყო გართული.

ყოველ შემთხვევაში, დროებითი ურთიერთობიდან განთავისუფლება არის ძლიერ რთული საქმე; აქ ერთდებიან სხვა-და-სხვა პირობები, ასე რომ დასახელებულ მიზეზებს გარდა, აქ კიდევ მძლავრათ მოქმედობენ სხვა ფაქტორებიც. საინტერესოა ამ შემთხვევაში იმერეთის და ამერეთის ერთმანეთთან შედარება. იმერეთში ახალი ცხოვრების პირობებმა უფრო წინ წადგეს ფეხი, ვინემ ქართლ-კახეთში, და ან რომელსამე კავკასიის სხვა ადგილებში. ამიტომაც, დროებითი ურთიერთობა, როგორც ძველი წეს-წყობილების გამომხატველი მოვლენა, იქ ყველაზე უფრო ადრე უნდა გაქარწყლდეს, რასაც აშკარათ გვიმტკიცებს ჩვენ დღევანდელი ცხოვრება. ამისათვის ჩვენ სწორეთ არ გვესმის თ. აბხაზის განრისხება მომრიგებელ შუამდგომელთა წინააღმდეგ, თუმცაღა არასოდეს მათ არ გამოვესარჩლებით ამ საქმეში. ჩვენ კი გვგონია მაინც, რომ თ. აბხაზს კერძო უკმაყოფილება უფრო აწუხებდა, როცა საგლეხო საქმეზე ჩამოაგდო ლაპარაკი, ვინემ საზოგადო საქმე: ეს მისი წერილიდან აშკარათ ჩანს. ამავე საგანს ეხებოდა ამას წინეთ მეორე ადგილობრივი გაზეთი (იხ. „Кавказъ"-ი, 1892 წ. №№ 76 და 78), რომელიც უფრო ღრმათ უყურებდა ამ საქმეს და ქართლ-კახეთის გლეხობის ჩამორჩენის მიზეზს ეძებდა პირდაპირ ეკონომიურ პირობებში. მოკლეთ რომ ვთქვათ, ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ფული უფრო ბლომათ დატრიალდა იმერეთში, ვინემ ამერეთში და, აი, სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ უკანასკნელი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ თფილისის გუბერნიაში 1891 წლამდის გლეხობას მართებლობის დაუხმარებლათ დაუხსნია მთელი მისი წილის (ნადელის) მხოლოთ 0,55%. თუ ვიქონიებთ სახეში ამასთანავე იმას, რომ დროებითვალდებული გლეხი მთელი თავის შემოსავლის მეოთხედს ბატონს აძლევს ღალათ, ჩვენ თვალ წინ წარმოგვიდგება თფილისის გლეხკაცობის დაჩაგრული მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დღეს ჩვენთვის საგლეხო კითხვის გამოსარკვევათ სტატისტიკო-ეკონომიური გამოკვლევა, როგორც თფილისის, ისე ქუთაისის გუბერნიისა. ამ საინტერესო კითხვას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

—ძ.

ბაში—აჩუკ.*)

ვახშმობა გადასული იყო. ტახტზე მხარ-თეძოზე წამოწოლილი ფეიქარ-ხანი კრიალოსანს ათამაშებდა და მალ-მალ კარებისაკენ იხედებოდა. გაიჭრიჭინა კარმა, შემოჰყო თავი ტერტერას ქვრივმა, ფრთხილათ შემოვიდა, დაბლათ თაყვანი სცა ხანს და გაჩერდა.

—ოჰ! შენა ხარ თიმსალ?—უთხრა ხანმა—სად არის?

—მარტო გიახელი! მიუგო მოწყენით ქვრივმა.

—მარტო რაში მინდევხარ?—მიაძახა ცოტა გულმოსულათ და წამოჯდა—ეგები, საჩუქარი ეცოტაევა?

—რა ბძანებაა ჩემო ხელმწიფევ! მხოლოთ ველარ მიუსწარ. ეჭვი აუღიათ ჭირის უფლებს და გადაუხიზნავთ.

—როგორ თუ გადაუხიზნავთ?

—სადაც კი გამოჩნდება ლამაზი ქალი, სულ მონასტრებში მიჰყავთ, ვითომ და მოლოზნებათ და იქ კი მალავენ, რომ ან თქვენ დიდებულებას ან სხვა ვინმე გამოჩენილ ხორციელს ხელში არ ჩაუვარდეს. აი ბატონო! რაღა შორს წავიდეთ, შუა-მთის მონასტერი ლამაზებით არის გატენილი. შარშან რომ დიდებული ყვენის საძღვნო თორმეტი ქალი მოსტაცეს ქართლის მეფეს, ისინიც იქ არიან თავ შეფარებული.

—იმათ მოტაცებას ხომ ბაში-აჩუკს აბრალებდენ?

—სულაც ეგ მინდოდა მომეხსენებია, ჩემო ხელმწიფევ! იმ მონასტერში ბევრი რამ საწინააღმდეგო ხდება თქვენი: რომ ისინი არ უწყობდენ ხელს, გადავარდნილებს, განა ამდენ ხანს ისინი თავს შეინახავდენ უდაბურ ტყეში? მაგრამ ნათქვამია, „ცოხე შიგნიდან გატყდებაო", კარის კაცები აფარებენ ხელს.

—ვიზე გაქვს ეჭვი? ჰკითხა სიჩქარით აღელვებულმა ხანმა.

—ქართველები არც ერთი სანდო არ არიან და ყველაზე უფრო მეტათ ჩოლაყაშვილი.

—გაქვს რამე საბუთი?

---

*) იხ. „ᲙᲕᲐᲚᲘ" № 18.

—განა ის ისეთი კაცია, რომ სასაბუთოთ დაიჭიროს საქმე? არა! მაგრამ გული კი მეუბნება და ხან-და-ხან წინაურძნობაც საბუთია.

—შენ ბაში-აჩუკზედაც კი გეუბნებოდა გული, მაგრამ ტყუილი გამოდგა.

—იქაც მართალი გახლდით, ჩემო ხელმწიფეე, მაგრამ, უეჭველია, გაქეთქვეს, თუ არა ვინ რას ერჩოდა ჩემ საცოდავ სახლს?

—მიჰქარავ! მედა აბდუ-შაჰილის მეტმა არავინ იცოდა. შენ შენი სახლ-კარის გადაწვა გამწარებს და აღარავის ზოგავ!.. ქვეყანას ცილსა სწამებ; ჩოლაყაშვილი დილიდან საღამოდი გვერდში მიდგას, ჩვენ ერთგულებაში ათენ-აღამებს და შენ კი ორგულობასა სწამებ! თუ მაგრე მართალია მონასტრის საქმეც, ვაი შენ ტყავს!

—არა, ჩემო ხელმწიფეე, მე თქვენი ერთგულება მაბედვინებს, თუ არა რა მრჯის მაგისთანა საქმეებში გარევას! მიუგო—ცახცახით დედა-ბერმა—მონასტრის შესახებ კი რაც მოგახსენეთ, ის სულ მართალია და თუ მტყუანი გამოედგე, თავი გამაგდებინეთ.

—შენ როგორღა გაიგე?

—კოჭი ბროლამ გადმომცა.

—ვინა?!

—კოჭი ბროლამ. აქ ერთი დერეკიკის ცოლი გახლავთ, ჩემი მამიდაშვილი, სილამაზით განთქმული.. თქვენ სად მოგაგონდებათ, თორემ აქაც კი გხლებიენართ ერთათ... ის გადავიდე ერთ ვინმე ახალგაზდას, რომელზედაც ეჭვი მქონდა აღებული და იმას გამოუტეხია.

ამის გამგონი ხანი თოფ ნაკრავივით წამოვარდა ზეზე და ბრაზ მოსულმა დაიღრიალა: „ეი, აბდუ-შაჰილ! აბდუ-შაჰილო!“ შეშინებული დედაბერი იქვე კუთხეში მიიკრუნჩხა. ყვირილზე ერთი შუახნის მხედარი შამოვარდა და მოახსენა: აბდუ-შაჰილ შეუძლოთ გახლავს და დღეს მის მოადგილეთ მე გახლავარო.

—კეთილი, სულ ერთია -ათრთოლებული ხმით უბძანა ხანმა,—წადი ეხლავ ცხენოსანი ჯარი შემოარტყი შუამთის მონასტერს და ააოხრეთ! აიკეალით! ნურავის დაზოგავთ! ნურც დიდს, ნურც პატარას, ნურც ბებერს და ნურც ყმაწვილს! ჯერ ყველა გააუპატიურეთ იქვე საჯაროთ!.. ნამუსი ახადეთ და მერე ნაკუწ ნაკუწათ აქციეთ ყველა! მხოლოთ რამდენიმე მათგანი, რომელიც სხვებზე ულამაზესი გამოდგეს აქ წამომგვარეთ ხელუხლებლათ. ნადავლი ჯარმა გაიყოს. გასწი! ნულარ აგვიანებ.

მხედარი აჩქარებით გამოვიდა—ბრძანების ასასრულებლათ. შეშინებული ბებერი უკან გაჰყვა და ხანმა კბილების ცახცახით წაილაპარაკა, თავისთვის: „მე გაყურებიებთ თუ როგორ უნდა ღალატი და მოტყუებაო“!..

გათენებისას, ცისკრის დროზე, მოულოდნელათ, ერთი საოცარი ტირილისა და გოდების ხმა გაისმა შუამთაში. თათრები დაერიენ უმწეო დედაკაცებს უდაბნოში და მუსრი გაადინეს, ზოგი გალავანზე გადაცვინდა, ზოგი კლდეზე გადაეჭრა, რომ თავი საბილწავათ არ მიეცათ, ზოგმა თვითონ მოიკლა ნამუს ახდილი თავი და სხვებს უწყალოთ გამძვინებული მტრები ჰკეპავდენ. ამ დროს ჯარის უფროსმა გამოათრია გარეთ ერთი ახალგაზდა, სრულიათ—გაწეწილ-გაგლეჯილი ქალი და გულ შეწუხებული დასვა ცაცხვ ქვეშ, პტყელ ქვაზე.

—ნუ გეშინია! გული მოიბრუნე შენ არავინ რას გერჩის.

—რაღას აგვიანებ? ბარემ მომკალ და გაათავე! სადაც ამდენი უშანკო სული ამოგიწყვეტიათ, მე რაღა დასატოვებელი ვარ? სასო-წარკვეთილებით შესტირა ქალმა.

—შენ სილამაზეს უმადლოდე! იმან გადაგარჩინა. ახლა უნდა წაგიყვანო, შენი თავი, დიდებულ ხანს მიუძღვნა. ვინ იცის, რა ბედი მოგელის? ადვილათ შესაძლებელია, შენი სილამაზის პატრონმა, მზე ბრწყინვალე შახის ცოლობასაც კი გამოჰკრა ხელი.

ამ სიტყვებზე შეკრთა ქალი და კანკალი აუვარდა. თათარმა ეს სიხარულის ნიშნათ მიიღო და სიცილით უთხრა: თუ, ვინიცობაა, ჩემი სიტყვები გამართლდეს, ნუ დაგავიწყდებიო. ქალმა ძალ დატანებით, ვითომ გული მოიბრუნა და დამშვიდებით უთხრა:

—ჩემო კარგო, ეგ ახდება თუ არა, არავინ იცის, მაგრამ დღეს რომ შენ სიკვდილს გადამარჩინე, მეც მინდა ეხლავ, სამაგიერო გადაგიხადო! ისეთს ჯადოს მოგცემ, რომ ვერც ტყვია მოგეკაროს და ვერც რკინეულმა გაგჭრას.—თათარმა ჯერ გაოცებით შეხედა და მერე ღიმილით უთხრა:

—თუ მართლა მაგისთანა წამალი იცით ქართველებმა, რატომ არ იკეთებთ? თქვენმა თავმა ქვა გკრათ?

—ვინ გითხრათ, რომ არ ვიკეთებთ? მაშ თუ არ ჯადოს წყალობით, რა გაგვაძლებიებდა აქამდე, ამდენ ვაი უშველებელში? მთელი ქვეყნის ხალხი, უხსოვარ დროიდან, გარს გვეხვევა მტრათ, ამ ერთ მუჭა ხალხს. ჩვენ, მადლობა ღმერთს, ვიგერებთ და სადაც ასი-და-ორასი მტრები წყდება, იქ თითო ოროლა ქართველი თუ კვდება, მეტი არა და ისიც მისთანები რომელზედაც ჯადო აღარა ჭრის. შენა გგონია, რომ დღეს ჩემმა სილამაზემ გადამარჩინა?

არა! მხოლოთ ამ ჯადომ დამიხსნა! ამოიღო უბიდან ტყავში გამოკრული—ნაწილებიანი ხატი, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა და უჩვენა. თათარმა შეხედა და ერთი ბიჯი უკან გადადგა, ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა: სხვებსაც ხომ ჰქონდათ ეგ ჯადო, რაღა მარტო შენზე გაჭრა?—უბრალო შემთხვევის ბრალია; მე უვახშმოთ დამეძინა, სხვები კი ვახშამ-ნაჭამი იყვენ, და ამ ჯადოს მხოლოთ მაშინა აქს ძალა, როცა კაცი მარხულია. თათარმა იჭვნეულათ გადააქნია თავი.

—არა გჯერა?—დაბეჯითებით ჰკითხა ქალმა—მაშ ეცადოთ, მაგაზე ადვილი რაღა ერის, აი ჩამოიკიდე გულზე, ეგ შენი ხმალი მომეცი, მე დაგკრამ რაც ძალი და ღონე მაქვს და ნახამ, თუ ან კანი გაგიჭრას!.. თათარმა გაიცინა.

—ისემც კარგი დაგემართოს, მაგრამ უცაბედათ რომ გაჭრას, მერე რაღა ექნათ? ჰმ!.. მით უფრო, რომ წუხელი კარგა ლაზათიანა შეეექეცი ვახშამს, შენი მოსატყუებელი კბილი, დიდი ხანია, მოვიცვალე.

—შენა გგონია, რომ გატყუებ? მაგას სიფრთხილე გალაპარაკებს; აბა ჩემზე შინჯე: რაც ძალი და ღონე გაქვს, ნუ დამზოგავ და ნახამ, თუ კბისა და პერანგის მეტი გამიჭრა რამე!—გადაწვა გულაღმა ქვაზე და გულზე დაიდვა ხატი; თათარმა გამოსაცდელათ, თუ მართლა არ შეშინდესო, ამოიღო ხმალი და დაუქნია, მაგრამ ჰაერშიეე შეაჩერა. ქალი არ კანძრეულა და ღიმილით უთხრა:

—არ გითხარი, რომ ვერას დამაკლებ თქო? თათარი დარწმუნდა, რომ ეს აღარ ხუმრობსო! ჯადოს ხელში ჩაგდების სურვილმა წაიტყუა, მართლა მოუქნია ხმალი რაც ძალი და ღონე ჰქონდა და შუა გაწყვეტილი ქალი ნახევარი იქით გადავარდა და ნახევარი აქეთ. შეკრთა მოტყუებული მხედარი, შემოიკრა თავში ხელი. „გამაბრიყვა ამ უბედურმაო!“ გადააქნია მწუხარებით თავი აქეთ-იქით, ერთი კიდევ დახედა დარცხვენით, ჩააგო ხმალი და გაშორდა. ამავე დროს იბრიალა და ავარდა საოცარი ალი აოხრებულ მონასტერს.

გაიგეს თუ არა ეს სამწუხარო ამბავი, თელავში, ახლო-მახლო სოფლები აღელვდენ, მაგრამ მწუხარების გამოცხადებას როგორ გაბედავდენ? არ წყენიათ მხოლოთ ქართველობის მტრებს და სასიამოვნოთ მიიღეს ყველა თათრებმაც გარდა ერთისა, რომელმაც, გაგონების უმალვე, გრძნობა-გონება დაბნეულმა გააქანა ბედაური შუა მთისაკენ. ეს ერთი იყო აბდუ-შაჰილი. რომ მივიდა, მონასტერი გადამწვარი დახვდა და სიჩუმე—არარაობას მოეცვა არემარე. დაღონდა და პირველათ გაივლო გულში სალავათი: ნუ თუ, ღმერთო, ამისთანა მსხვერპლი შენთვის მართლა საჭიროა იყოს? ან რა ვაქკაცობაა უიარაღო, უმწეო, სუსტი დედაკაცებისა და ბალღების ჟლეტა? ქრისტიანები ამგვარს არას ჩადიან!.. თვით ყაჩაღებიც კი ერიდებიან ამ საქმეს. ამ ორ სამ წელიწადში, ვინ იცის რამდენი ოჯახი აიკლეს, როგორც თათრების, ისე თვით ქართველებისაც, მაგრამ, აბა თუ ერთი სადმე უკადრებიათ, უიარაღო დედაკაცებისა და ბავშვების ხელის შეხება?—ამ ძრახვით გაიარა დიდი ეზო და განაკიდეს მიადგა ცაცხეს; იქ უცბათ შეჩერდა, დახედა გაჩეხილ ქალს, ერთი საოცრათ დაიყვირა, წაბარბაცდა და იქვე ცაცხეს რომ არ მიყუდებოდა, წაიქცეოდა. დიდხანს იყო ისე ხმა ამოუღებლათ; ბოლოს შეიძრა, დააშტერდა მკვდარს და სასოწარკვეთილებით თქვა:

რა დაიშავე, ღმერთო, რომ ცხადი სიზმრათ გადამიქცე? ამას ველოდი? გაქრა წაიდა! ჩამიარა ოცნებამ, მაგრამ რაც ერთხელვე გულზე ისე ნათლათ დამეჭდო, იმას ვეღარ ამოშლის-რა!.. თუ ცოცხალი დავკარგე, მკვდარი ხომ მაინც ჩემიაო. დაავლო ხელი ორათ გაჭრილს, მიიკრა გულზე და წაიღო იქითკენვე. საიდანაც ამ რამოდენიმე ხანის წინეთ ისე ნეტარებით მოჰქონდა, მაგრამ სულ სხვადა-სხვა კი იყო მაშინ და ახლა: მაშინ ნეტარებით გაბრუებულს, მაღლით ცა ეხსნებოდა და ახლა-კი, უბედურებით სულ-შეხუთულს დედა მიწა უსკდებოდა! მოიტანა წყაროსთან და დადვა. დიდხანს დაჰყურებდა თავზე და ცრემლები ღაპა-ღუპით ეცემოდენ წვერ-ულვაშზე. იმ დღესვე გაჰქრა საფლავი წყაროსთან, მიაბარა საიდუმლოთ თავის დაუვიწყარი განძი სამარეს და საფლავის პირი მიასწორ-მოასწორა. იმ დღიდან ხშირათ, ძალიან ხშირათ, ამოდიოდა ხოლმე და ძვირფასს სამარესთან ღამეს ათევდა.

ᲙᲐᲠᲯᲘ.

(შემდეგი იქნება)

სახუმარო გასართობი

ᲒᲝᲯ. (გაოცებით) ოჰ. ბიიიი...ჭოს? ივანიკა ხარ?

ᲘᲕ. (ღიმილით) არა! ივანიკას ძმის ძმა ვარ!

ᲒᲝᲯ. ივანიკას ძმის ძმა?!!

ᲘᲕ. კი! ივანიკას ძმის მამის შვილი.

ᲒᲝᲯ. მართლა? შორეული ყოფილხარ, მაგრამ ძალიან კი გევხარ ივანიკას.. აი!..

ივ. ისე, რავარც გოჯასპირის ძმის ძმას შენ...

გოჯ. (გაკვირვებით) შენ რას იცნობ გოჯასპირის ძმის ძმას და ან ვინ ოხერია?—

ივ. გოჯასპირის ძმის მამის შვილია.

გოჯ. კაცო, ეი, რას მიედებ-მოედები? გოჯასპირი ხომ მე ვარ?!.

ივ. ჰო, და... თუ შენ გოჯასპარი ხარ, მე ივანიკობას რა დამიშლის?

გოჯ. ფიე! ივანიკა ხარ? არა ხუმრობ? მერე და ცოცხალი ხარ, კაცო?...

ივ. თქვენში თუ ლაპარაკობენ მკედრები, თვარა ჩვენში ჯერ არც გაგონილა.

გოჯ. არა, კაცო!.. აკი, იმერეთი წყალმა წაილო? შენ როგორ გადარჩი?

ივ. ცურვა ვიცოდი და კიდეს ვავედი.

გოჯ. ალაგ-ალაგ ქვესკნელშიაც ჩაძვრაო?!.

ივ. ხტომა ვიცი და ამოვძვერი.

გოჯ. (თან-და-თან გაოცებით) თოვლმაც რომ დამარხა?

ივ. თხილამურები გვეიკეთე და დავდიოდი.

გოჯ. გზებიც რომ აღარსად იყო?

ივ. მთა-მთა გადმოვიარე!.. კორტოხ-კორტოხ გადმოვედი.

გოჯ. ამბობენ, ძიელ დაზარალა იმერეთი ზამთარმაო?

ივ. გაგეფხიკოს მტერი, ის გეიფხიკა!..

გოჯ. ჭინახულის საძებრათ ხომ არ ჩამოსულხარ?

ივ. (გულმოსული) რავა თუ საძებრათ? სამოწყალოსაეით შენ გაგიშვერია ხელი, თვარა მე ხმალზე მიდევს!..

გოჯ. მერე რაო, რო გიძევს?

ივ. ის, რომ ღმერთმა ნურა გამიჭირეოს რა, და თუ ვინმემ გამიჭირვა, კაი... კაის ვშველებ!..

გოჯ. ეა! რას ცხარობ კაცო?.. ოპოზიციაში ხომ არ ჩაწერილხარ?

ივ. შენ კი პრაველენიაში ხარ, რომ დინჯათ როშამ? ეჰ, ერთი თავი დაანებე!.. მითხარი, შენ რაღათ ჩამოსულხარ სოფლიდან?

გოჯ. ვინ ოხერი თავის ნებით ჩამოსულა,—ძალა დაგვატანეს. სულ დაგვჯანდრეს და ისე ჩამოგვიყვანეს.

ივ. დაგჯანდრეს? რა სარეცხი შენ ხარ რომ საჯანდიერო გამხდარხარ?

გოჯ. რა გიჭირთო!.. გაზაფხულია, ვამოისეირნეთ და ბაღებში დრო გაატარეთო!

ივ. რა მერცხალი შენა ხარ, რომ გაზაფხულს მოყვები და რა ბულბული, რომ ბაღებს ეტანები?

გოჯ. ვვეგონა, მაგრამ თავგატეხილ ინდაურსავით ვეხეტებით ქუჩა-ქუჩა... ბაღები სხვებს დარჩენიათ... მინდვრები უცხოებს წაუღიათ და ჩვენ კი მარტო მტვერიანი ქუჩა დაგვრჩა ხელში; დავდივართ და აქეთ-იქით ვიხედებით, რომ მენახშირის ვირებმა არ გაგვიტანოს.

ივ. მართალს ამბობ, გოჯასპარ, მე და ჩემმა ღმერთმა!.. დრო გადაბრუნდა... გამოიცვალა! მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ესამართლოთ ხელი არ მოიჭრება? თუ მართალია ნეკსაც ვერ მოჭამენ...

გოჯ. შენმა მზემ, ნეკს კი არა შუა თითსაც ზედ მიაყოლებენ! . ძიელ ილესენ კბილებს... ძიელ!..

ივ. სალეს ჩალხს ვინ ატრიალებს?

გოჯ. ვიღაც თქვენებურია!—აქ შემოხიზნულა... დიდი ვინმე თურმე ყოფილა!—

ივ. (დაფიქრდება) ვინ უნდა იყოს ნეტავი?.. ხელ-მარჯვეა?..

გოჯ. ჰო. კარგათ ხმარობს, როცა დაბლა ჯიბისკენ უჭირავს!.. მაღლა, ზეცისკენ რომ აიღოს, ის კი არ შაუძლიან!

ივ. რატომ?

გოჯ. რა ვიცი. ამბობენ ნიკრისის ქარი უდგასო ი ხელში.

ივ. ააა! მიეხვდი!.. ახლა ვიცი ვიზედაც ამბობ!.. ის ჩვენი პროკოფ ხოტოტიჩი იქნება... ფხუუუ!..—

გოჯ. ეა! რას იცინი!.. პროკოფ ხოტოტიჩი ვინ ოხერია?

ივ. არ იცი?

გოჯ. კოკორ პეტროვიჩი კი გამიგონია, მაგრამ ეგ ვიღაც ხოხოტიჩია არ გამიგია.

ივ. ეგ არის რაღა... თქვენ რომ მოგწონებიათ.

გოჯ. ნიკრისის ქარი რომა აქვს?

იკ. ნიკრისის კი არა „ნიკრიჩის“.

გოჯ. ნიკრიჩიო?

იკ. ჰო. ერთხელ თურმე ჩხუბი მოუხდა მოყვრებში და ყვირილი დეეწყო. მოყვრებმაც ეიღეს კაი კეტი და ზდრუზეს ხელზე: „ნიკრიჩიო!“ მკლავი ჩამოაგდებიეს, და მასუკან გაუდგა ის ქარი და ნიკრიჩის ქარიც მიტომ დეერქვა.—

გოჯ. ბიჭოს? ე რა კაი ამბავი ყოფილა?!. რატომ ი ჩემმა შვილმა არა მითხრარა მაგისი? მისი მეგობარია და ეცოდინებოდა: სულ ერთათ არიან.

იკ. რავა, შვილი მიგიბარებია მისთვინ?

გოჯ. ამა, რა მიბარება უნდა ჩემი შვილი იმაზე უფრო ნასწავლიც არი. უმაღლესს ხარისხზე ეკზამენი დაუჭერია.

იკ. სად?

გოჯ. სად და დანიაში?

იკ. და...ნია...ში?!.

გოჯ. მაშ!.. ნეიტრალობაზე!.. ისეთი დიპლომი უჭირავს ხელში, რომ წინ ვერა დაუდგება რა!.. კარი ღია აქვს და გზა გახსნილი!..

იკ. (დაცინებით) კაი დაგემართოს!.. მომილოცავს! მარა ჩვენსკენ კი ნუ გამოუშვებ მაგ დიპლომით!.. ვინიცობა, კორტოხს არ გადმოცილდეს!..

გოჯ. რატომაო?

იკ. იმიტომ რომ, რავაც მოგეხსენება, ჩვენში წყალ-დიდობა იცის და ფონს ვერ გავა... ის დიპლომი დოუსველდება... ისევ აქ ატრიალოს ჯერ კიდევ, სანამ გასავალი ექნეს.

ბათუმიდან ხუმრობა.

ეა განსხვავებაა სასამართლოსგან დანიშნულ აპეკუნებსა და ქალაქის გამგეობის აპეკუნებს შორის? —დაეკითხა ერთი ბათუმის ხმოსანი მეორე ეექილ ხმოსანს.

—მარტო ის, ჩემო მეგობარო, რომ სასამართლოს აპეკუნებს შრომისთვის წმინდა შემოსავლიდან ასზე ხუთი სარგებელი აქვთ დანიშნული და გამგეობის აპეკუნებს კი მთელ შემოსავლიდან შრომის გაუწევლათ ასში ათი სარგებელი ეძლევათ.

—რა მიზეზია, რომ ბათუმში გასარყვნელ-გასართობი დაწესებულებანი უფრო მატულობენ და ფესეს იდგმენ, ვიდრე სასწავლებლები და სწავლა-განათლების საქმე?—გაკვირვებით დაეკითხა მეორე ხმოსანი იმავე ხმოსანს.

—აქ არაფერია გასაკვირი. სასწავლებლების გამრავლება ხარჯს თხოულობს, ხოლო გასარყვნელ-გასართობი დაწესებულებანი შემოსავლიანი არიან და ხელ-მისაცემი, უფრო კი იმისთვის, რომ გამგეობიდან დაწყებული განკარგულების მიმცემ პირებამდე სულ უცოლშვილო და უსახლკარონი არიან!

—იმის მიზეზი რაღაა, რომ ბათუმის საზოგადოებამ საბჭოში უმრავლესობა აპეკუნებისაგან აირჩია?

—ეგონებ, ეგეც იმისთვის, რომ ბათუმის საზოგადოება ჯერ კიდევ მცირეწლოვანია და სასამართლონი აპეკუნებსაც მცირეწლოვანებს, დანთხეულებს და ფანტია ვინმეებს ნიშნავენ.

სასაცილოა, სასაცილო, სამწუხარო რომ არ იყოს!!.

??

სალიტერატურო შენიშვნები.

ჩვენი სიტყვა კაზმული ლიტერატურის განვითარება მიდიოდა პარალელურათ ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის განვითარებასთან, ისინი ერთმანეთს აძლიერებდენ და ასაზრდოებდენო“, ამბობს ცნობილი რუსის კრიტიკოსი პროტოპოპოვი (იხ. მისი წერილი „Критика Тургенева“ *) და შემდეგ განაგრძობს: „რას მიაშენებდა თავის ენტუზიაზმს ბელინსკი და რაზე გამოიჩენდა თავის კრიტიკულ მიხვედრილების ძალას, თუ ხელში არა ჰქონოდა პუშკინი და გოგოლი? მეორე მხრით, განა თხზულებანი პუშკინისა და გოგოლისა არ დარჩებოდენ რუსეთის საზოგადოებისთვის მკვდარ კაპიტალათ, რომ არ გამოჩენოდათ ბელინსკი ამ. ხსნელათ? ეს კერძო მაგალითია, მაგრამ მას აქვს საზოგადო მნიშვნელობაც. ამ ორ მკვიდრ დას— სიტყვა კაზმულ ლიტერატურას და სალიტერატურო კრიტიკას არასფერ შემთხვევაში არ შეუძლიათ დააყვედრონ ერთმანეთს. არც ერთს საკმაოთ დაჯილდოებულ ჩვენ მწერალს არ შეუძლია თქვას რომ იგი არ დააფასეს; არც ერთ საკმაოთ ნიჭით დაჯილდოებულ ჩვენ კრიტიკოსს არ შეუძლია იჩივლოს, რომ სამუშაო არ ჰყოფნიდა, რომ ტემა არ იყო, რომ მიზეზი პროპაგანდისთვის ვერ იშოვნა“. დიახ, ასე იყო რუსეთში; ასე იყო სხვაგანაც ყველგან და ასეა ახლაც, ხოლო ჩვენში კი, სამწუხაროთ, ეს ასე არ არის და თუ, ერთი მხრით, ჩვენი სიტყვა

*) ჟურნალი „Рус. Бог.“, № 1. 1896 წ. გვ. 72—73.

კაზმული ლიტერატურა საკმაოთ განვითარდა, მეორე მხრით, სალიტერატურო კრიტიკას ჯერაც კი ვერ მოუკიდია ფეხი; ჯერაც კი არ დამყარებულა იგი მკვიდრ ნიადაგზე. ამ ნაირათ ჩვენი ლიტერატურა თავიდანვე ნაკლულევანი დაიბადა: სიტყვა კაზმულ ლიტერატურას თან არ დაჰყვა შესაფერი სალიტერატურო კრიტიკა, რომელსაც უნდა აეხსნა იგი ქართველ საზოგადოებისათვის და დაეფასებია ჩვენი ნიჭიერი მწერალ-მხატვარნი ღირსეულათ. რასაკვირველია, ეს გარემოება თითონ სიტყვა კაზმული ლიტერატურის ღირსებასაც უნდა დატყობოდა, რადგან ის მოაკლდა მაშინვე სალიტერატურო კრიტიკის დახმარებას. რატომ მოხდა ეს ამბავი? ნუ თუ იმ ერმა, რომელმაც ერთი საუკუნის განმავლობაში მოგვცა იმისთანა კორიფეები სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში, როგორც გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, გ. წერეთელი და სხვა, ვერ შეძლო ერთი ნიჭიერი კრიტიკოსის მოცემაც კი? ნუ თუ ასე ძნელია კრიტიკა პოეტურ შემოქმედობაზე? თუ ასეა, მაშ, რათ ამბობენ ფრანგები: წერა ძნელია, კრიტიკა ადვილიო?.. არა, აქ რაღაც სხვა ამბავია და მიზეზიც იმისი, რომ ამდენ ხანს ჩვენში კრიტიკამ ფეხი ვერ მოიკიდა, სხვაგან უნდა ვეძიოთ. მართლაც, გადაათვალიერეთ ჩვენი ძველი და ახალი ჟურნალ-გაზეთები და თქვენ იქ შეხვდებით თითო-ოროლა შვენიერ ნიმუშს სალიტერატურო კრიტიკისას, ხშირათ სრულიათ უცნობ პირთაგან ხელმოწერილს. ამ წერილებს სიამოვნებით წაიკითხავს ყოველი ქართველი და ნამეტურ ქართველი მწერალი, რადგან მათ ავტორებს საკმაო ნიჭიც ეტყობათ და საკმაო მომზადებაც სალიტერატურო კრიტიკისთვის და თუ ვერ შეუქმნიათ იგი, მხოლოთ იმიტომ, რომ ამისთვის ან ვერ მოუცლიათ, ან საქმის განგრძობა აღარ დაცლიათ. პირველი რიგის მწერალთაგან შეგვიძლია მაგალითათ მოვიყვანოთ ბ. ნ. ნიკოლაძე, რომელიც, როგორც სალიტერატურო კრიტიკოსი, არამც თუ ჩვენ ღარიბ ლიტერატურას დაუშვენებდა, არამედ უფრო მდიდარ ლიტერატურაშიაც კი ერთ უპირველეს ადგილთაგანს დაიჭერდა, მარტო სალიტერატურო კრიტიკისთვის რომ მოეცალა. ხოლო მეორე რიგს მწერალთაგან უდროოთ და ძალათ გამოსალმებული წუთი-სოფელს ეს. მჭედლიძე („ბოსლეველი"), რომლის „კრიტიკული მიმოხილვანი" გაზეთ „შრომაში" დღესაც სიამოვნებით იკითხებიან. მაგრამ რაღა შორს მიედიეართ? განა იგივე ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და გ. წერეთელი შვენიერი კრიტიკოსები არ იქმნებოდენ, რომ სალიტერატურო კრიტიკისთვის მოეცალათ მხოლოთ?.. დიახ, ჩემი აზრით, ყოველ მწერალს, მწერალს, რასაკვირველია, არა მარტო ბუნებითი ნიჭით დაჯილდოებულს, არამედ ღრმათ განათლებულს და განვითარებულს თავის დროის შესაფერათ, შეუძლია კრიტიკოსობა. უბედურება ის არის მხოლოთ, რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით სამუშაო ისე ბევრია და მუშაკნი კი ისე მცირე, რომ ვერც ერთმა ჩვენმა ნიჭიერმა და ცოდნით აღჭურვილმა მწერალმა ველარ მოიცალა განსაკუთრებით სალიტერატურო კრიტიკისთვის. მაგრამ კრიტიკაც არის და კრიტიკაც, და თუ ერთნაირი კრიტიკა უდრის პოეტურ შემოქმედებას; თუ იგი უფრო ძნელიც არის უკანასკნელზე ზოგიერთ შემთხვევაში, რადგან მარტო ბუნებითი ნიჭი არ არის საკმაო, როგორც სახალხო პოეტისთვის მაგალითათ, არამედ საჭიროა თანამედროვე მეცნიერული და ფილოსოფიური განათლების მიღებაც, მეორე ნაირ კრიტიკაზე, თუ შეიძლება ეს სახელი ეუწოდოთ, უადვილესი არა არის რა, რადგან ამ ნაირი კრიტიკა იმის მიხედვით, მოწონს თუ არა რომელიმე მწერლის მიმართულება და პოეტურ შემოქმედების ხასიათი თვითონ კრიტიკოსს, ან აქებს და ზეცამდის აჰყავს აღებული მწერალი და მისი ნაწარმოები, ან აძაგებს და მიწასთან ასწორებს უსაბუთოთ, ცალიერ სიტყვებით. თუ ამნაირი კრიტიკოსი ზნეობრივათ მაინც მაღლა დგას და მხოლოთ მწერლის თხზულების მოწონება-დაწუნებაზე ამყარებს თავის კრიტიკას, კიდევ არა უშავს-რა, მაგრამ თუ უკანასკნელში პირად ანგარიშებსაც ურევს, თუ კრიტიკას ხმარობს იარაღათ შურის ძიებისა იმ მწერლის მიმართ, რომლისგანაც რაიმე წყენა ახსოვს, თუნდაც ეს წყენა გამოწვეული იყოს მხოლოთ იმავე მწერლის თხზულებით, მაშინ კი იმაზე უსაზიზღროესი აღარა იქნება-რა... ჩვენ მწერლობაში დღეს ორი ესრეთ წოდებული კრიტიკოსი მოღვაწეობს: ბ. გ. ყიფშიძე, ჟურნალ „მოამბის" სალიტერატურო მიმომხილველი და ბ. კიტა, გაზეთ „ივერიის" კრიტიკოსი. ჩვენც ვიტყვით რამოდენიმე სატყვას ამათზე. როგორც ვიცით, ბ. გ. ყიფშიძე ეკუთვნის იმ გუნდს ჩვენი მოღვაწეებისა და მწერლებისას, რომელსაც ბ. ხომლელმა უწოდა „ტეტიათა მოტრფიალე" გუნდი. ამიტომაც მის ყურადღებას იმსახურებენ მხოლოთ ის ქართველი მწერალნი, რომელნიც მთელს თავის ძალ-ღონეს ქართველ „ტეტიის" დასურათებას ანდომებენ და სხვა ჩვენ ცოტათ, თუ ბევრი ნიჭიერ მწერლებსაც იმდენათ იხსენიებს ბ. კრიტიკოსი, რამდენათაც ეს უკანასკნელნი აკმაყოფილებენ მის ერთათ-ერთ მოთხოვნილებას ქართულ სიტყვა კაზმულ ლიტერატურისაგან. ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა, ეგ. ნინოშვილი და ბ. არაგვისპირელი, აი ის მწე-

რალნი, რომელთაც, ბ. გ. ყიფშიძის აზრით, არავითათი ნაკლულევანება არა აქვთ. „მათ (ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანასას) პოეზიას განსაკუთრებული ხასიათი აქვს, სხვა ფერი ადევს, სხვა წყალი და ჯაკარი ემჩნევა, რაიცა ძლიერ აახლოვებს ერთმანეთთან ამ ორ მწერალსა და ალ. ყაზბეგს, იმ განსხვავებით მხოლოთ, რომ ესენი აცდენ მის ნაკლსა, ზოგჯერ გადაჭარბებულ საპატრიოტო ტენდენციას, მდაბიოთა იდეალიზაციას და ერთფერობას. ერთმა ბაჩანამ თვისი ძლიერი ლირიკით გაგვაცნო სული და გული, დარდი და მწუხარება ფშავ-ხევსურთა, ხან საკუთრათ მათი, ხან საზოგადოთ მდაბიოთა, მაგრამ ისე კი, რომ მათი გრძნობა გაატარა თვის საკუთარ გულში, იქ დააწმინდავა, დაბროლა ევროპიულ, საკაცობრიო გრძნობა-აზრის ბრძმედში გაატარა და ისე მოგვიძღვნა. ხოლო მეორემ—ვაჟა-ფშაველამ—თვისი ძლიერი ეპიკით გაგვითვალისწინა თუმ-ფშავ-ხევსურნი და იმისი სამხატვრო-ხერხათ ისევ ის გზა აქვს, რაც ბაჩანას. მის შემოქმედობის საიდუმლოც ისევ ისეთია, როგორც ბაჩანასი. ორისაევ ძმის შემოქმედობა, უნარი წერისა ამაზეა დამყარებული, რომ ერთიცა და მეორეც საკურველს, საყოველთაოთ—საკაცობრიო, კაც-მოყვარულ აზრებს თვით მდაბალთ გულშიაც ეძებენ, ან მათ გულ-ღვიძლში ავლებენ და, როცა ეს აზრები განსხვავებულ ფერს მიიღებენ ამ ოპერაციის გამო, მხოლოთ მაშინ მოგვიმძღვნიან ხოლმე უკვე თვისი გრძნობით დაწმენდილს, დაბროლებულს [1])“. აი, როგორ აქებს ბატონი კრიტიკოსი თავის მიერ მოწონებულ მწერლებს, რომელთა მიმართულებით და პოეტურ შემოქმედობის ხასიათით კმაყოფილია. არა ნაკლებათ აქებს აგრეთვე ეგ. ნიბოშვილს და ბ. არაგვისპირელს: „არც გადაჭარბება, არც ზომიერების დაუცველობა, არც იდეალიზაცია და რომანტიზმით გატაცება, რაიცა ასე უშლის ხელს სხვათა შორის ეკ. გაბაშვილისას, არც ნამეტანი რეალისტობა და პროტოკოლისტობა. ამ ორ მწერალს არ ეტყობა. მათი მოთხრობა მიმდინარეობს საკვირველი ბუნებრივობით, სიმარტივით, სამხატვრო სიმართლის გვერდაუველელათ, ხან დიდისა და ჭეშმარიტის დრამატიზმით, ხან ლმობიერებითა და მომქმედთა პირთა შებრალებითა, ავთა და მაენებელთა გაჯუჭარბებელი შეჩვენებითა და შერისხვით [2])“. ხოლო, აი, რას ამბობს იმათზე, ვისი პოეტური შემოქმედობის ხასიათიც არ მოწონს: „ზოგიერთ ჩვენ ბელლეტრისტს, საზოგადოთ, ძრიელ უყვარს დასურათება განათლებულის კაცებისა, ნასწავლ ყმაწვილკაცობისა და ჩვენი კრიტიკაც, ბ ნ კიტას წერილების სახით ურჩევს კიდეც ჩვენ ბელლეტრისტებს, ასურათეთ ინტელლიგენციაო, ჩვენი ფიქრით, ამისთანა ბელლეტრისტების სურვილი ამაოა, ფუჭი და კრიტიკის მიერ ამისთანების რჩევა ხომ სრულიათ შეუწყნარებელია... ამიტომ, ჩვენი ფიქრით: „ვარიპანიძიანთ ნინო“ არტურ ლეისტისა, ნაქები „ივერიის“ კრიტიკოსის მიერ, დაუმთავრებელი მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, დაბეჭდილი „მოამბე“-ში, აგრეთვე ნაქები მისგანვე, სუსტი მოთხრობანია. ამ დაუმავრებელის მგზავსი მოთხრობა წინათაც დაწერა ალ. ყაზბეგმა, მაგრამ ძალიან სუსტი იყო. ეს მოთხრობა „განკიცხული“ გახლდათ“ [3])... ასე დიდ ხანს იმიტომ შევჩერდით ბ. გ. ყიფშიძის წერილზე, რომ ნათლათ გვეჩვენებია მისი კრიტიკ ს ხასიათი: მას პოეტური ნაწარმოების ღირსება—ნაკლულევანების საჩვენებლათ აქვს ერთათ-ერთი კრიტერიუმი, საზომი—თავისი საკუთარი მიდრეკილება, ვინც აკმაყოფილებს ამ მიდრეკილებას, ვინც ასურათებს მარტო მდაბიოთა, ის ჩინებული მწერალია; აგრეთვე ის თხზულება, რომელშიაც გამოყვანილია მდაბიოთა ცხოვრება შედეერია, ხოლო ის, რომელიც ეხება განათლებულთა ცხოვრებას, სუსტია, უვარგისია, გაუუჭებულია. საბუთები?.. მაგრამ საბუთებს ის არ დაგვიდევს და ცალიერ სიტყვებით ან აქებს ვისმე, ან აძაგებს, ხშირათ ერთსა და იმავეს აქებს კიდეც და აძაგებს, იმის მიხედვით, თუ რამდენათ დააკმაყოფილა მისი საკუთარი მოთხოვნილება და სურვილი. მაგალითათ ალ. ყაზბეგი იქ, სადაც წერს მდაბიოთა ცხოვრებას, უახლოვდება, კრიტიკოსის იზრით, ვაჟა-ფშაველას და ბაჩანას, ხოლო სადაც ეხება განათლებულთა ცხოვრებას—სუსტია. ჩვენ კი ვერ მივმხვდარვართ, როგორ შეიძლება, რომ ნიჭიერმა მწერალმა ჩინებულათ დაგვისურათოს ის სფერა, რომელსაც ნაკლებათ იცნობს და სუსტათ ის სფერა, რომელსაც უფრო კარგათ იცნობს. მართალია, ალ. ყაზბეგი ხალხის შვილია, მარა მერე ხომ უმეტესი და უკეთესი დრო თავის სიცოცხლისა განათლებულთა წრეში გაატარა, მას შეესისხლ-ხორცა? მაშ, როგორ მოხდა, რომ ხალხის ცხოვრების დასურათება შეენიერათ შეძლო და განათლებულთა ცხოვრების დასურათება კი სრულიადაც ვერ მოახერხა? მე არ ვამბობ, რომ ალ. ყაზბეგმა უნაკლულოთ დაგვისურათა ჩვენი განათლებულები და მისი „ვინ გავამტყუნოთ?“ შედეერია-მეთქი. მე ვამბობ მხოლოთ, რომ ეს მოთხრობა სრუ-

[1]) ის. „მოამბე“ № 1, 1896 წ. გვ. 93—94.

[2]) ib. გვ. 98.

[3]) ib გვ. 99—100.

ლიადაც არ ჩამოუვარდება ალ. ყაზბეგის ხალხის ცხოვრებიდან აღებულ მოთხრობებს; რომ ამასაც იგივე ღირსება და ნაკლულევანება ემჩნევა, რაც იმათ. ის კი არა, ალ. ყაზბეგის „განკიცხული“ და „ვინ გავამტყუნოთ?“ უფრო რეალური მოთხრობებია, ვინებ „ელგუჯა“ და „მამის მკვლელი“ და ეს არც გასაკვირველია, რადგან პირველ მოთხრობებში ავტორი გვიწერდა თავის თავს და თავის ახლო ნაცნობებს, ხოლო უკანასკნელებში სახალხო გმირებს, დროთი და გარემოებით მისგან დაშორებულებს. შეიძლება „კერძო ამბავია“ მართლა „ვინ გავამტყუნოთ?“ როგორც გ. ყიფშიძე ამბობს, მაგრამ, თუ ავტორს ნიჭი აქვს, ხომ ნიჭიერათ დაწერილი იქნება და ნიჭიერათ დაწერილი კერძო ამბავი — კი იგივე პოეტური ნაწარმოებია, იგივე მოთხრობა და რომანია. თუ არ წაგიკითხავთ რამ, საფრანგეთის თანამედროვე რომანისტის ალ. დოდესი, გაგონილი მაინც გექმნებათ მისი სახელი, რომელსაც თუ უფრო მაღლა არ აყენებენ ემილ ზოლას სახელზე, უკანასკნელის თანასწორათ მაინც იხსენიებენ. წარმოიდგინეთ, რომ ალფ. დოდე თავის სიცოცხლეში თურმე მხოლოთ კერძო ამბებს წერს. აი, რას ამბობს ერთი მისი ბიოგრაფი: „თუ საზოგადოთ მართალია, რომ მწერლის ბიოგრაფიის უცოდნელათ, ძნელია სავსებით გაგება მის თხზულებათა, ალფ. დოდეს შესახებ ეს ჭეშმარიტება კიდევ უფრო ნათლათ ჩანს. მართლაც დოდემ დაიდვა პრინციპათ მთელი თავისი სალიტერატურო მოღვაწეობისა — წეროს მაოლოთ ის, რაც ჰნახა. აქედან ცხადია, რა მჭიდრო კავშირიც აერთებს კერძო ცხოვრებას რომანისტისას და მის თხზულებებს. იმ პირებში, რომელთაც ჰხვდებოდა დოდე ნამდვილს ცხოვრებაში, ჩვენ თითქმის ყოველთვის ეცნობილობთ ერთის, ან მეორე მისი რომანის გმირებს; იმ გარემოებაში, რომელშიაც ვითარდებოდა სულიერი ფიზიონომია დოდესი, ჩვენ ვპოულობთ მიზეზებს, რომელთაც დაჰბადეს განსხვავებული კოლორიტი იმის თხზულებათა [4])“. დიახ, ასეა და ბ. გ. ყიფშიძე კი უკიჟინებს ალ. ყაზბეგს, როგორ გაჰბედე და შეეხე ვისმე კერძო ცხოვრებასაო? „არც ვალერისა და არც მარის არაფერი ტიპიური არა ეტყობა-რა და მთლათ მოთხრობა „ვინ გავამტყუნოთ?“ პასკვილს უფრო ჰგავს, რაღაც ნამდვილ კერძო ამბავს, ვიღასაც გამოსაჯავრებლათ დაწერილს, ვიღრე მოთხრობას“ და სხვ.-ბრძანებს ბ. კრიტიკოსი [5]). ვალერი ტიპი არ არისო, მარი ტიპი არ არისო. საკვირველია! ტიპი ხომ განზოგადებაა ცხოვრებაში ნახულ პირისა და თქვენ რომ ერთი ვალერის მეტს ვერ იცნობდეთ, ავტორს რას ერჩით?.. მაგრამ როგორც ვნახეთ, ჩვენი კრიტიკოსი გატაცებულია თავის „idée fixe“-ით და მხოლოთ იმ მწერალს აფასებს, რომელიც მარტო მდაბიოთა ასურათებს, იმ ნაწარმოებს აქებ-ადიდებს, სადაც მარტო მდაბიონია დასურათებული; ამიტომ სრულიადაც არ გვაკვირვებს მისი აზრი „ვინ გავამტყუნოთ“ და სხვა მოთხრობებზე, რომლებშიაც ინტელლიგენტთა ‰ განათლებულ ახალგაზდათა ცხოვრებაა აწერილი... გადავიდეთ ახლა გაზეთ „ივერიის“ კრიტიკოს ბ. კიტაზე. როგორც ბ. გ. ყიფშიძეს, ისე ბ. კიტასაც აქვს თავისი „idée fixe“-ი. ეს არის საფრანგეთის ლიტერატურის ტრფიალება. წერილები პოლბურჟეზე, წერილები „ევოლიუციაზე სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში“, წერილები ლემეტრზე, ბრიუნეტიერზე და სხვ. აი, ბ. კიტას წელილი ჩვენს ლიტერატურაში. კეთილი და პატიოსანი! როგორც ეტყობა, ავტორმა იცის ფრანგული ენა, შესწავლილი აქვს ფრანგული ლიტერატურა, თვალს ადევნებს მის მსვლელობას და ცდილობს ქართველ საზოგადოებას გააცნოს იგი, კიდევ ვიტყვით, კეთილი და პატიოსანია და გზას დავულოცავთ ახალგაზდა ავტორს ამ სიმპატიურ, თუმცა ცალ მხრივათ მიმართულ გზაზე, სასიარულოთ. ღმერთმა ხელი მოუმართოს და მისცეს იმდენი ძალა, რომ მთელი საფრანგეთის ლიტერატურა გადმოეთარგმნოს და გადმოექართულებიოს. ამით დიდ სამსახურს გაუწევდა იგი ქართველ საზოგადოებას, რადგან შეძლებას მისცემდა ყველას, ვინც ფრანგული ენა არ იცის, მის მაგიერ, რომ რუსულ თარგმნებისთვის მიემართათ, სამშობლო ენაზე გაცნობოდენ საფრანგეთის ლიტერატურას. ჩვენ გვეგონა კიდეც, რომ ბ. კიტა ამ გზას დაადგებოდა და საფრანგეთის ლიტერატურის ქართულ ნიადაგზე გადმოშენერგის როლით დაკმაყოფილდებოდა, მარა მარტო ეს არ იკმარა და კრიტიკოსობაც დაჩემა. დაჩემა და გვაუწყა თავის პირველ წერილშიე, რომელსაც „ცხოვრება და ხელოვნება“ დაარქვა („ივერია“ № 150, 1895 წ.): „ჩვენ სურვილი გვაქვს დღევანდელს ჩვენს მწერლობას ყურადღება მივაქციოთ, მისი შესანიშნავი მოვლენანი აღვნიშნოთო“; აგრეთვე, რადგანაც ყოველი მწერლობა ცხოვრებასთან დაკავშირებულია.. ცხოვრეების უმთავრესს შემთხვევებსაც ვერ ავუქცევთ გვერდსაო“; „გარდა ამისა... საჭიროთ მიგვაჩნია დღევანდელის ლიტერატურის წინამორბედს შეეხოთ და მისი ესტეტიკური და მორალური მნიშვნელობა აღვნიშნოთო“ და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, სრულ საენციკლოპედიო

[4]) „Собраніе сочиненій Альфонса Додэ“, ტ. XII გვ. 390.

[5]) „მოამბე“ № II 1896 წ. გვ. 107.

კრიტიკას გვპირდებოდა, რომელშიაც უნდა მოთავსებულიყო ესტეტიკური კრიტიკაც, ისტორიულიც, პუბლიცისტურიც და სხვ. ამ დაპირებას შემდეგ აგერ ერთი წელიწადი სრულდება, ბ. კიტამაც მრავალი წერილი უკვე დასტამბა, მაგრამ ამ წერილებშიაც ისევ ისე ფრანგებზე და ფრანგულ წერილებზე გველაპარაკება; ხოლო ის რამოდენიმე ქართული ნაწარმოებიც, რომელსაც შიაქცია ყურადღება, ან თარგმანია ფრანგულიდან და ან მიბაძვა იმავე ფრანგულისა, გარდა არტურ ლევისტის „ვარიპანიძიანთ ნინო“-სი და ორიოდე კიდევ სხვისა. გადმოთარგმნეთ რამე ფრანგულიდან, ან გადმოაკეთეთ, და ბ. კიტაც ცამდის აგიყვანსთ ქებით. მაგრამ, დე, აქოს ბ. კიტამ, ვინც უნდა და აძაგოს აგრეთვე, ვინც უნდა, ოღონდ ეს ქება და ძაგება გულწრფელი იყოს, როგორც გულწრფელია, მაგალითათ, ბ. გ. ყიფშიძის ქება და ძაგება! ხოლო უბედურებაც ის არის, რომ ბ. კიტას კრიტიკა ხშირათ ამ ღირსებასაც კი მოკლებულია სამწუხაროთ...

დუტუ შეგრელი.

ნუშო.

(მოთხრობა) *)

VII.

ზანქის ვიწრო ქუჩაზე, მუხრანიანთ ხიდისკენ, ცხოვრებდა დალალი მარქრიტა. ეს დედაკაცი დალალიც იყო, მაჭანკალიც; საცა სადალალო გადიოდა, იქ დალალობდა, საცა სამაჭანკლო საქმე იყო, იქ მაჭანკლობდა. დალალობით რომ დაიწყებდა, მაჭანკლობით ათავებდა. საცა შეშა ვერ მოჰქონდა ურემს, თითონ შეშობდა. ახალგაზდა დაქვრივებულიყო და მალე მიეყო ამ ხელობისთვის ხელი. დილა ადრიანვე გამოჰკრავდა ყალამქრის ბოხჩაში სადალალოს, დაიხურავდა ჩადრს და გაუდგებოდა გზას. ჩადრის მოკლეთ აწევა უყვარდა. იმისი გზა-კვალი არავინ იცოდა. ეჯავრებოდათ. პირსიქით ბევრსა ძრახავდენ, პირში თქმას ერიდებოდენ, რადგან ეშინოდათ იმის გესლიანი სიტყვისა. თუ აწყენინებდენ რასმე, ვიწრო ბოროტი თვალები აუბზინდებოდა, ფურცელივით თხელი ტუჩები გაუუთორდებოდა, მიმინოს ნისკარტივით მოყვანილი თხელი ცხვირის წვერი გაუთეთრდებოდა და ისეთ სიტყვას მიახლიდა კაცს, ისეთ ნაცილს ესროდა, რომ გულს მოუკლავდა.

ჯაგუ იცნობდა მარქრიტას, ორბელიშვილებისას ენახა; მარქრიტა დიდკაცებშიაც დადიოდა: გამოსადეგი ადამიანი იყო. დაბარა თავისთან, გააგებინა თავის გულის წადილი, თავის გაჭირება და დაავალა მოეგვარებია ეს საქმე, გაერიკებია ქალი. მდიდარი გასამრჯელო აღუთქვა. მარქრიტა ჩაფიქრდა, გონების თვალით წონავდა ამ სახეირო დავალებას. ეჭვი შეეპარა ჯაგუს გულწრფელობაზე, ეკონა, ქალის ყიდვა გაუძრახავსო: მარქრიტას ხშირათ ავალებდენ მდიდრები ამისთანა საქმეს და ახლაც ესევე იფიქრა.

— აა, შე ეშმაკო! გინდა რაღა გარეთუბანს თვალი გამოთხარო, ი ბამბის ქულა გოგო ჩაიგდო ხელში, უთხრა მაცთური ღიმილით მარქრიტამ, თან თითი დაუქნია; რას არ აფიქრებინებს კაცს სიმდიდრე! მაგრამ მე რომ იმის დედას ვიცნობ, არა მგონია, შეაცდინო და დაიყოლიო, რაც უნდა მისცე.

— ცუდს ნურას იფიქრებ! ცოლათ მინდა, როგორც გითხარი, — მიუგო ჯაგუმ მკვახეთ.

— გიცნობთ! დაინიშნებით, შეეტყუებით, იყრით ჭინს და მემრე მოქუსლავთ. შეეეცდები კი. რატომ? ფულის საქმეა. ახლავე კი გეუბნები, რომ ძალიან ძვირია, იმედი არა მაქვს.

ჯაგუს ძალიან ეწყინა, რომ იმისი წრფელი სურვილი ესე შესვარა მარქრიტამ. განა თითონ არ ესარგებლა მარქრიტას ხელოვნებით საეჭვო გარემოებებში, მაგრამ ახლა ეზიზღა. ის აღმერთებდა ნუშოს, ქალს იმის გულში სიყვარულის ცეცხლი აღეგზნო, ჯაგუს ამ ახალ გრძნობისათვის დაეკავშირებინა, რაც კი იმის არსებაში კარგი იყო — ან გრძნობა, ან სურვილი, ან ფიქრი; უნდოდა ნუშო იმის წმიდა-წმიდათა ყოფილიყო, ეს დედაკაცი კი ბინძური ფეხებით აპირებდა ამ სიწმიდის შელახვას. ძალიან ეწყინა, გული ჩაეთუთქა, მაგრამ რას იზამდა? თავის ბედი ხელში ჩაუგდო ამ დედაკაცს და მოთმინების მეტი რაღა გაეწყობოდა. თავი შეიკავა.

— მარქრიტა! ეგრე რომ იყოს საქმე, პირდაპირ გეტყოდი. მე ის ქალი ჩემ მეუღლეთ მინდა. თუ მოახერხებ ამ საქმეს, არ მოკვდეს ჯაგუ, შენ უმადური არ დაგტოვო.

მარქრიტა დარწმუნდა, რომ ეს კაცი არა ხუმრობდა.

— მაშ კარგი! მაგრამ ხომ იცი მე იმათგან საშუამავლოს ვერ ავიღებ: რა აქვთ, რა უნდა მომცენ?! იმათ მაგივრათაც შენ უნდა მომცე გასამრჯელო.

---

*) ის. „ᲙᲘᲐᲚᲘ“ № 18.

ჯაგუმ მაშინვე ხუთი თუმანი ჩაუდო დედაკაცს ხელში.

მზეს კარგა მოევლო, როცა მარქრიტამ შეაღო ძმიაშვილიანთ ეზოს კარი და მიესალმა მაგდას. მაგდა წამოდგა ტახტიდან, მიიპატიჟა სტუმარი, ჩამოართვა ბოლჩა და ჩადრი.

— დაბძანდი! რისგან არის მოგგონებიანართ? უთხრა მაგდამ და თან ეჭვით შეხედა დედაკაცს, რადგან იცოდა, ის უსაქმოთ არ მივიდოდა მაგდასთან.

— იჰ, ქალო, ძალიან მინდოდა მენახეთ, მაგრამ მოცლა არა მაქვს. ლუკმა პურისთვის დაეწანწალებ. გმადლობთ! ჩაის მე ადრე ვსვამ ხოლმე. ახლაც საქმეზე მოვედი: უნდა მოიცალო და კვირამდინ ერთი ლეჩაქი შეკერო. ჯაგუ კორსაიას ხომ იცნობდი, ორბელიშვილისას რომ იყო მოურავათ? ახლა იმას დიდი ვაჭრობა აქვს გამართული, სოვდაგარი კაცი შეიქმნა. იმან დამავალა, საგულიგულოთ შეკერილი ლეჩაქი მიშოვეო; თურმე სადღაც უნდა გაგზავნოს საჩვენებლათ. მაშინვე შენ დაგასახელე. ეიცნობო! რანაირიც თითონ ამოარჩიოს, ფასიც თითონ დაადგას: ვენდობი იმ პატიოსან ადამიანსაო,— მითხრა.

— კარგი, ჩემო მარქრიტ, შევკერამ. საქმე ღვთის მადლით ბევრი მაქვს, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, რომ მოგგონებივარ. რახან საჩვენებლათა ნდომებია, მე ვიცი, როგორ ლეჩაქსაც ამოვიღებ: მადლობელი დამრჩებიან. ფასი კი შენ უთხარი, ხომ იცი, რა ღირს; მე შემრცხვება და უფრო ნაკლებ დავაფასებ.

ამ ლაპარაკის დროს მარქრიტას ოთახისკენ ეჭირა თვალი. ოთახის კარი ღია იყო, ფანჯარას ფარდა ეფარა. ძალიან უნდოდა სახლში შესვლა და ქალის ნახვა, როცა ნახა, რომ შინ არ იწვევდენ, უეცრათ წყალი მოინდომა და მანამ მაგდა დაიძვრებოდა ადგილიდან, თითონ შესრიალდა კარებში. მაგდა განგებ არ იწვევდა ოთახში, არ უნდოდა ეჩვენებინა მძინარე ქალი და მიულაგებელი სახლი; არ იამა დედაკაცის ქცევა, მაგრამ ვეღარა აწამა-რა.

— ქა, გაფუჩფუჩებული არა წევს! აე თვალს არ ენახება. აფსუსი არ არის ამისთანა ქალი უფულო იყოს და ტუტყიან ხეპრე ვისმე ჩაუვარდეს ხელში.

ნუშო გაიშმუშნა ლოგინში.

— დაიძინე, შვილო, ინებივრე, ჯერ შეგიძლია იაზიზო: კარგი დედა გადგას თავს. მემრე, ქმრის ხელში, ვინ იცის რა დღე მოგელის; იქნება განთიადისას გაყენებდენ, ქმარ-შვილს და სახლს მოუარეო. ღარიბი კაცის გაჩენაში ხომ ღმერთი არა რეულა.

— გუშინ გვიან დავიძინეთ და ადრე აღარ ავაყენე, შემეცოდა, მოჰხადა ბოდიში დედამ; თან თვალისა შეულოცა გუნებაში.

მარქრიტა კიდევ შეეხვეწა მაგდას დროზე შეეკერა ლეჩაქი და საგანგებო რამ გამოეყვანა.

დალალი რომ წავიდა, მაგდა დაუფიქრდა იმის სიტყვებს და სევდა აეშალა.

— მართლა და რა ეშველება ჩემ ნუშოს? თუ მივცე საწყალ ვისმე, გინდა ღურგლიანთ ვანუას, რა გამოვა? ჯაფა ამას არ შეუძლია, გაჭირებულ ცხოვრებას არ არის შეჩვეული. ორ დღესაც ვერ გაძლებს, დაჭლექდება... უწინამც დღე დამელიოს!.. კიდევ რომ გავიმეტო და მივცე, განა თითონ გაჭყვება?.. სწავლა ვერ დავამთავრებინე ჩემი ხელ-მოკლეობით, ვერც ხელ-საქმე ვასწავლე. არ მივცე და მაშვინ წაიყვანს უმზითოს? ეს საცოდავი ქოხია და მე მეყოს სამარხათ თუ ქალს მზითვათ? ამ ბოლოს დროს რაღაც ზერა-ქვერათ ვარ; რომ მომიეიდეს რამე, ხომ მთლათ დაილუპება, მოვარდება ნიაღვარი და წაიღებს,—ფიქრობდა მაგდა.

დანიშნულ დროს მარქრიტა ისევ მიეიდა მაგდასას. საღამო ხანი იყო, ნუშო ტოლ-ამხანაგებში გასულიყო. ახლა კი პირდაპირ მიმართა საქმეს.

— მას აქეთ, რაც იმ დღეს შემოგბრუნდი, გული აქ დამრჩა: ძალიან მომეწონა შენი ქალი; რამდენი ხანი იყო, არ მენახა. ეეება გამხდარა, გათხოვების დრო აქვს. ქალი იჯდეს—ბერდებოდესო. გავიგე კუნწულაანთ კონა გთხოვს. რატომ არ აძლევ?

— ერთი საწყალი ხეპრე კაცია, რითი უნდა შეინახოს ცოლ-შვილი?

— ლოთი არ არის და ფოთი, როგორ დაარჩენს ოჯახს თავის ხელობით, ხომ გაგიგონია, ქალი პირდაღებულმა მგელმა რომ გთხოვოს პირველათ, უნდა მისცეო.

— ვიცი, ჩემო მარქრიტ, მაგრამ ეგ მგელი ერთობ გაქუცული და პირ-მყრალია; როგორ გადაუგდო ჩემი სათუთათ აზდილი გოგონა?

— მართალს ამბობ, გაიღიმა მაჭანკალმა. გცდიდი. შენი ქალი არ გამოდგება ღარიბ და მუშა ოჯახში. ხომ იცი შვილივით მიყვარს, მაინც ვიტყვი: მაგას ოჯახის მოვლისა და ჯაფის თავი არა აქვს, შეჩვეული არ არის.

— ყმაწვილია—გამოიცდება, შეეჩვევა.

— მემრე რა საჭიროა, რომ გამოსაცდელ ადგილას ჩავაგდოთ? ისეთ კაცს მივცეთ, ქალბატონივით იცხოვროს.

— შენ პირს შარქარი, ჩემო მაქრიტ, მაგრამ ვინ გვაღირსებს ისეთ კაცს? მდიდრები მდიდრებსვე ირთავენ, ფული ფულს ეძებს.

— მაგდა! ჭკვიანი ადამიანი ხარ, კარგათ დამიგდე ყური, უთხრა მარქრიტამ და მიუჯდა მუხლის ძირას. ჯაგუ კორსაია ახლა სოფდაგარი კაცია, დიდი მდიდარი შეიქნა. სხვა არა იყოს-რა იმან რომ მთაწმინდაში სახლი შეიძინა, მარტო ის აცხოვრებს ერთ ოჯახს. გუშინ კიდევ შევიარე იმასთან. ლაპარაკში სიტყვა გაუტარე ცოლის შერთვაზე: ვიცოდი, ქალს ეძებდა. იმანაც აღარ დამიმალა. ლამაზი ქალი მინდა, ოღონდ ცოტა იცოდეს რამე და მიხვრა-მოხვრა ჰქონდეს, ფულს არ დავეძებ, ფული ბევრი მაქვსო; უთუოთ პატიოსანი ოჯახისა კი უნდა იყოსო. მე მაშინვე ნეკზე ვიკბინე; ჩვენი ნუშო მომაგონდა. იმას რომ მიეცეთ, მაგის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

მაგდა დააკვირდა მაჭანკალს და ჩაფიქრდა.

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ ხომ იცი, ჩემო მარქრიტ, მა ბავშის მეტი არავინ გამაჩნია, მაგას შეეალიე ჩემი ყმაწვილ ქალობა; მაგას რომ შეემთხვევა რამე, მე რომ ეგ გაუბედურებული ვნახო, თავს მოვიკლავ. ის კაცი ვინ იცის ვინ არის, ვინ იცის როგორია, იქნება ერთი გაქნილი ვინმეა; რომ გვიღალატოს, რაღა გვეშველება? მდიდარი კაცია და ჩვენ ღარიბები, იმასთან რას გავაწყობთ?

— იი, ქა! საეჭვო ვინმე რომ იყოს, განა მე გამომეპარებოდა? მაინც კიდევ ისე დავიჭიროთ საქმე, რომ ვერავინ მოგვატყუოს.

კიდევ ბევრი ილაპარაკეს ამ საგანზე და ბოლოს დაჰყვა მაგდა. ან კი ჯაგუზე კარგს ვის დაუწყებდა ლოდინს? ერთი პირობა კი დაუდო: ნიშნობა და ქორწილი ზედიზედ უნდა მომხდარიყო.

VIII.

მარქრიტა რომ წავიდა, მაგდამ ერთი პირი გამოიტირა, თუმცა სასიხარულო იყო იმისთვის, რომ თავის ნანინატრ შვილს გზას აძლევდა და კარგ გზასაც, თუმცა იცოდა, რომ ერთხელაც იქნებოდა გაფრინდებოდა ბუდიდან იმისი გვრიტი, თუმცა შეთვისებული ჰქონდა აზრი, რომ იმის ნუშოც, როგორც ყველა ქალი, ბოლოს მაინც დედის კალთიდან სხვის კალთაში უნდა გადასულიყო, თუნდაც ეს დედის კალთა სულ ეარდებით ყოფილიყო იმისთვის მოფენილი,—თუმცა ესმოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ისე შეჩვეოდა თავის შვილს, რომ უიმისოთ ცხოვრება შეუძლებელათ მიაჩნდა, ისე შეჩვეულიყო ნუშოსთან გაუყრელათ ყოფნას, რომ თავისი თავი და შვილი ჯერ ისევ ერთი ეგონა. ეს იყო მიზეზი, რომ ქალის გულიდან აგლეჯამ დარდები აუშალა საწყალს. ისიც კი უნდა თქვას კაცმა, რომ მაგდა, როგორც თითქმის ყველა ქვრივი, ტირილს იყო მიჩვეული და ხამუშ ხამუშ ცრემლებს წაალეკინებდა ხოლმე შეგუბებულ გრძნობებს. მაგრამ ტირილით რა გაეწყობოდა? გამოსაშვებ სისხლს გამოშვება უნდოდა.

იმ ღამეს ქალს დედა ძალიან უალერსებდა, ფარვანასავით თავს ეელებოდა, თაფლიანით ტკბილ სიტყვებს აწვეთებდა, თან სულ თავის ქვრივ-ოხრობაზე ელაპარაკებოდა, სიღარიბეს უჩიოდა; თანდათან ესუსტდები, ხანდახან ცუდათა ეგრძნობ თავს და შრომა მიჭირდებაო. როცა ქალი ლოგინში ჩაწვა, დედა მიუჯდა და ეაჭრობაზე ჩამოუგდო საუბარი: ეაჭრობა უფრო სასარგებლოა ხელობაზედაო; მაგალითათ ჯაგუ კორსაია მოიყვანა, რომელიც აღებ-მიცემით გამდიდრებულიყო, ფულიანი კაცი გამხდარიყო. ბოლოს გაუცხადა, ჯაგუმ კაცი მომიგზავნა შენა გთხოულობსო.

ქალი სულაც არ აღელვდა ამ ამბავზე, გულდამშვიდებით მოისმინა დედის სიტყვები; მარტო „იჰ“-ს იძახდა და იქით ბრუნდებოდა. დედას ეგონა, ქალს ისევე გაუძნელდებოდა დედის დაშორება, როგორც თითონ დედას ქალის და ცოტა არ იყოს ეწყინა შვილის ესეთი ქცევა.

— მე გული მიკვდება, დაშორებაზე რომ ვფიქრობ, ამას კი, ვგონებ, აინუნშიაც არ მოსდის, გაიფიქრა მაგდამ.

ქალმა კი იმისთვის მიიღო გათხოვების ამბავი ესე დინჯათ, რომ მომზადებული იყო ამ ამბისათვის, წინათვე იცოდა ეს ესე უნდა მომხდარიყო. ნუშომ მიაქცია ჯაგუს ყურადღება, როცა იმან ორბელიანთ საყდარში დაიწყო სიარული და აღგზნებულ თვალებს არ აშორებდა მას. ისიც კარგა შენიშნა, რომ, თუ ან წირვას ან ლოცვას დააკლდებოდა, ჯაგუ უთუოთ გაიელიდა მახლობელ ქუჩაზე და თვალი სულ მაგდაანთკენ რჩებოდა. ქალი მიხვდა, რომ ჯაგუ გაგიჟებული იყო იმისთვის და დატკბა: ადამიანი დიდ კმაყოფილებასა გრძნობს, როცა ხედავს, რომ რომ ის უყვარს ვისმე, თუნდა უღირსსაც უყვარდეს. ჯაგუ კი უღირსი არ იყო: სუფთათ მოწყობილი მოხდენილი ეაქკაცი, კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა; ქალმა იცოდა, რომ ჯაგუ ახლა დიდი მდიდარი იყო და ეერცხლის ჰუყერიალი თვალს უბამდა, მით უფრო ადვილათ, რომ უსაქმობით და მდიდარ ოჯახებში სიარულით კეთილ ცხოვრებაზე ოცნებას შეჩვეოდა, რომელსაც დაკმაყოფილება უნდოდა, ქალი კიდეც შეთვისებოდა იმ აზრს, რომ ჯაგუს ცოლი გახდებოდა.

— ჯაგუმ რომ შემირთოს, ფიქრობდა ეკლესიაში მუხ-მოდრეკილი ნუშო, ჯაგუმ რომ წამიყვა-

ნოს, მაშინ გამოსკდება კაკალაანთ ლიზას შურით თვალები, იმ დღეს რომ ვერცხლის ქამარი შემოეკრა და იპრანჭებოდა; ზოგიც მაშინ აუკრან ტუჩი ჩემ ტანისამოსს თუნდ ორბელიშვილის ქალებმა! ჩამოვალ უბანში ეტლით ძვირფასათ ჩაცმული, უბნელებს ხილსა და საჩუქრებს ჩამოუტან. როცა შინ მეწვევიან, ისე დაუხვდები, რომ უკვირდეთ. შეევხვეწები ჯაგუს და დედას ხავერდის ქათიბს შეუკერავ... მაგრამ, დასწყევლა, რა სახელია ჯაგუ? ნეტა სოსანა ერქვას... საწყალი სოსანა! იმასაც ხომ ძალიან უყვარვარ. ვინ იცის ახლა სად არის. რუსის ქალს გაიცნობდა ვისმე.

როცა მარქრიტა მივიდა ლეჩაქის შესაკეთათ და ჯაგუს სახელი ახსენა, ნუშო ლოგინში სმენათ გადაიქცა: ეგონა, ან ახლა ეტყვის დედას კორსაია ქალსა გთხოვსო, ან ახლა. მარქრიტა რომ ისე წავიდა, სამაჭანკლო საქმეზე კრინტიც არ დაძრა, ქალს ნუგეშები გაუცრუდა და ძალიან ეწყინა; გაჯავრდა მარქრიტაზედაც, ჯაგუზედაც.

— ია, მეხი კი დავყარე! გამდიდრებულა და დავიწყებია, რომ ორბელიშვილის მოსამსახურე იყო. თუ ლეჩაქის შემოკვეთის მეტი არა უნდოდა რა, მაშ რაღას დაეხეტება საყდარში და თვალებს იბრეცავს ჩემკენ?.. მედუქნეა და ფულის ძებნაში ამოუვა სული. ვის ეკადრება?!. სწორეთ მაგის ცალია სოსანა! იმან პირობა მომცა; აკერ გაათავებს სწავლას, ჩამოვა რუსეთიდან და ჯვარს დავიწერთ. ნასწავლი კაცია. მეუბნებოდა: მასწავლებლათ გავმწესდები, ვიცხოვრებთ ჩვენთვის ტკბილათ და პატიოსნათო. მართალია სიმდიდრე არ გვექნება, მაგრამ ჩვენი სიყვარულით დიდი მდიდრები ვიქნებითო, ასე ფიქრობდა ნუშო. ჯაგუზე მაინც გული მოსდიოდა, ჯავრობდა; იმ შაბათ საღამოს შეხედვაც კი აღარ აღირსა კაცს, თუმცა საწყალი ციცასავით შეცქეროდა იმას.

ამ გუნებაზე, ამ ფიქრებზე იყო ნუშო, როცა დედამ შეატყობინა ჯაგუს სურვილი. ამ ამბავმა დაკმაყოფილა ქალის თავმოყვარეობა, მაგრამ ჯაგუზე გული მაინც ჯერ ვერ მოებრუნებინა, ველარც მთლათ დაეჩდილა სოსანას სახე, რომელიც ისე ცხადათ წამოუდგა იმას, როცა ჯაგუზე ჯავრობდა. ეს იყო მიზეზი, რომ როდესაც დედა რამდენჯერმე ჩაეკითხა ქალს, იმან პირდაპირი პასუხის მაგივრათ მორცხობით მიუგო:

— სოსანა რომ მიდიოდა, მითხრა, მიყვარხარ, მე შეგირთავ, როცა რუსეთიდან დავბრუნდებიო; ჩვენ პირობა მივეცით ერთმანეთს.

დედის გულს ისარივით მოხვდა ეს ამბავი და მოულოდნელათ შეარყია იმისი ფიქრები. მართალია, უხაროდა, რომ მდიდარ კაცს აძლევდა ქალს, მაგრამ სულ არ იცნობდა იმ კაცს, არ იცოდა რა ხასიათისა იყო, როგორ შეეთვისებოდენ ერთმანეთს ქალ-სიძე, სოსანა კი, ის პატიოსანი, განათლებული, ყველას საყვარელი სოსანა, რომ დასიძებოდა, მაშინ სხვა იყო. მდიდარი არ იყო სოსანა, არც როდისმე გამდიდრდებოდა იმის ფიქრების კაცი, მაგრამ რა საჭიროა ეს? იმდენი მაინც ყოველთვის ექნება სუფთათ და უვალოთ იცხოვრონ. მაგრამ სოსანა ჯერ როდის გაათავებს სწავლას. იქნება რუსეთშივე შეირთოს ცოლი. ვინ იცის აღარც კი ახსოვს ყმაწვილობის გრძნობა, იქნება მანძილმა და ხანმა ნისლით დაფარეს სურვილის საგანი: როგორც თვალი შორს ისე გულიო... ესეც რომ არ იყოს მარქრიტას რა პასუხს გავცემ? ხომ გადაგვიხდის, გველის ხერელში გაძვრება და გადაგვიხდის. ან რათ უნდა მივაყენოთ უპატიურობა იმ კაცს, რისთვის უნდა დავიწუნოთ?.. ყველა ამ ფიქრებმა სიჩქარეფით გაურბინეს მაგდას თავში გადასწყვეტა გზისათვის არ გადაეხვია.

— ხომ იცი, შვილო, როგორ მიყვარს სოსანა, როგორ უყვარს ის მთელ უბანს: ბედნიერი ვიქნებოდი შვილათ დამესახა ის, მაგრამ გახსოვდეს, რომ დანიშნულებიც იღებენ ხელს ერთმანეთზე, ჯვარდაწერილებიც კი იყრებიან და ყმაწვილის ერთ სიტყვას როგორ დავენდოთ, იმის გულისათვის როგორ უთხრა უარი სოდაგარ კაცს? რუსეთი გრილია, ვინ იცის როგორ გაუგრილდა გული. ან დაბრუნდება კი საქართველოში? ამბობენ, ბევრ ქართველებს სტოვებენ რუსეთში, იქ აძლევენ ადგილებსაო.

ნუშოც ესე ფიქრობდა, დედის სისტყვები ჭკუაში უჯდებოდა: სოსანას მისდა საუბედუროთ ვერ გაეღვიძებინა ქალის გულში ნამდვილი სიყვარული, — ის ამირანი, რომელსაც, ჯაჭვებიც კი ველარ უძლებენ, თუ ერთი შეიძრა. ნუშო ახლა ჯაგუსაც და სოსანასაც ისე უყურებდა, როგორც ცხოვრების სახსარს, — ისეთ ცხოვრების საშუალებას, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა იმის სურვილები, იმისი ოცნებები და ჯაგუ ამოირჩია, მდიდარი ჯაგუ, რომელიც აკეზნებულიყო იმისი ეშხით, რომელიც ცდილობდა ახლავე ფეხ-ქვეშ გაეშალა სატრფოსათვის თავისი ეაქკაცობაც, თავის ქონებაც. ქალმა აი ამიტომ მიუგო უკანასკნელ ჩაკითხვაზე დედას, რაც გინდა ქენიო

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.

Дозв. ценз. Тифлисъ, 27 Апрѣля 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца стамба, д. д. Ротиніанцовъ Гол. пр., № 41.